№ 3008
სამშაბათი,
21 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 3008
სამშაბათი,
21 თებერვალი

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе".** ტელეფონი № 372

1906 წელს

„ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით **ერთის წლით 6** მან. **ერთის თვით 50 კაპ.**	საზღვარ-გარედ გაგზავნით **ერთის წლით 11** მან. **ერთის თვით 1 მან.**

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა ახალგაზრდა ოსკარ შმერლინგისა და კოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი. „ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი **„ნაპერწკალი"**.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

ორშაბათს, 22 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდაცვლილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მუკდენში მოკლულის პოლკოვნიკის

თავად ვლადიმერ გაბრიელის ძის მაყაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა მისი კნ. **სოფიო სვიმონის ასული,** შვილები განსვენებულისა, ძმები, დები, დისწული და რძალი. წირვა დაიწყება დილის 10 საათ. და წირვის შემდეგ პანაშვიდი.

(1—69—1)

ორშაბათს, 22 თებერვალს იქმნება გადახდილი ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

კნეინა ნინო მელიტონის ასულის ბარათაშვილის

სულის მოსახსენებლად, ვერის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში დილის 10 საათზე.

რესტორანი

პურ-ღვინო

დღეს, 21 თებერვლიდან, ხელ-ახლა გაიღო. გაიღო აგრეთვე ბილიარდი და ნარდიცა. ვაჭრობა კვლავინდებურად სწარმოებს. (2)

ტფილისის ქალაქის გამგეობის

განცხადება

რადგან ტფილ. გენერალ-გუბერნატორი თხოულობს წარვუდგინოთ სია სახლის პატრონთა, რომელთაც ჰყავთ მეეზოვეები, აგრეთვე იმათი, რომელთაც არა ჰყავთ, ტფ. ქალაქის გამგეობა აცნობებს ბ. ბ. სახლისპატრონთ, მათ გამგეთ და მოიჯარადრეთ, რომ ეს სიები წარედგინება ამ ხუთ დღეში, ამიტომ გამგეობა ვალად სთვლის მოაგონოს სახლის პატრონთ, გამგეთა და მოიჯარადრეთ, რომელთაც არა ჰყავთ ჯერ უბნის რწმუნებულების მიერ ჩაწერილი მეეზოვეები, დააჩქარონ და აღასრულონ ბ. გენერალ-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილება ჯარიმის თავიდან ასაცილებლად.

შენიშვნა: ყველა ცნობები მეეზოვებზე შეიძლება მიიღონ მსურველებმა უბნების რწმუნებულებისაგან ან ქალაქის გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში (ქალაქის გასუფთავების ნაწილში).

რწმუნებულთა სია და მათი ადრესები:

- 1-ლი საპ. ნაწ: მ. ნ. ათაბეგოვი (გრიბოედ, ქუჩა № 23).
- მე-2 „ „ ნ. ი. დერზიბაშევი (ჭავჭავაძის ქ., № 16). ტ. ს. ტერ სიმონიანცი (მთაწმინდის ქ., № 1), დ. ი. იაკიმოვიჩი (მე-2 პარალლენ. ქ., № 12) ი. დ. კარაკეშიშევი (სუდებ. ქ.: № 34).
- მე-3 „ „ გ. დ. ტერ-ნიკოგოსოვი (გრაფის ქ., № 7).
- მე-4 „ „ ნ. ი. მარქაროვი (განოვის ქ., № 23).
- მე 5 „ „ ა. პ. ჩახმახსაზიანცი (არხივის ქ., № 12).
- მე-6 „ „ იედიგაროვი უსეინ-ბეკ (ვორონც. ქ., საკუთ. სახლი), გ. ე. ბეჟოევი (ვორონც. ქ. № 109).
- მე-7 „ „ ექ. იგიტიანი (ავლაბარი, ქალაქის საავადმყოფო).
- მე-8 „ „ გ. თოიძე (გონჩარნ. ქუჩა, № 28).
- მე-9 „ „ ნ. ა. გრიქუროვი (მიხაილ. ქ. № 37), ლ. ა. მამულოვი (რაზიეზჟ., საკუთ. ს.).
- მე-10 „ „ ი. ა. ბრონ-ფონ - ბრენნერი (მიხაილ. № 161), დ. ი. ემინოვი (მიხაილოვ. № 160).
- ნაძალადევი: ხერო ხოჯაევი (ანნენსკ. და როსტ. ქქ. კუთხე, მალაკნების სასაფლაოს ახლო), ა. ბაქრაძე (სტავროპ. ქ., საკ. სახლი, № 5).

)ნ. 2—1)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1-ლ საპოლიციო ნაწილში, დიდ და პატარა სუდების ქუჩის კუთხეში, საგანგებოდ ახლად აშენებულ სახლში, განზრახულია გაიხსნას, ნ. ე. ზუბალაშვის მიერ შემოწირულის ფულით, **ღარიბთა თავშესაფარი,** რომელშიაც ბინა მიეცემათ ღარიბ და დავრდომილ ქრისტიანთ, მამაკაცთ. თავშესაფარში 30 კრაოტი იქნება: 10—მართლმადიდებელთათვის, 10 კათოლიკეთათვის და 10 სომეხ-გრიგორიანთათვის. ვისაც ესაჭიროება „ღარიბთა თავშესაფარში" ადგილი, უნდა მიჰმართოს თხოვნით ტფ. ქალაქის გამგეობას და წარმოუდგინოს დოკუმენტები პიროვნებისა, სარწმუნოებისა, სიღარიბისა და აგრეთვე ექიმისა იმის შესახებ, რომ მუშაობა აღარ შეუძლია. თხოვნები მიიღება მხოლოდ ამა წლის 1-ლ აპრილამდე. (3—6.—1)

მედიცინის დოქტორი

ჰრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,

რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5-დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნიზა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53—6)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—7-მდე, გარდა კვირა საღამოსა. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

ექიმი
მ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვისა. (15—კვ.—7)

ექიმი
მ. პ. ხეჩიჩბანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათზედ. (თვ.—30)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა ბინა: ელისაბედის ქ. № 160. (19—17)

კბილის ექიმმა
ი. ზ. კანდელაკმა

განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი 32. ძველ ბინის გვერდზე.

ტფილისი, 21 თებერვალი.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

როგორც პეტერბურგიდან მოსულ ცნობებიდანა სჩანს, სინოდმა უარჰყო ქართველ სამღვდელოების შუამდგომლობა ავტოკეფალიის შესახებ. ეს, რასაკვირველია, მოსალოდნელი იყო: სინოდი რუსეთის ბიუროკრატიის ყურმოჭრილი მონაა და არასოდეს არ გამოიმეტებს ქართულ ეკლესიისათვის თავისუფლებას და თვითმმართველობას. მაგრამ სინოდი სინოდია და ქართული ეკლესია კიდევ—ქართული ეკლესიაა, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია მოაწყოს თავისი ბედი ისე, როგორც ეს უკეთ შეეფერება იმის ცხოვრებას.

ჩვენ ეკლესია გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც იგი დღეს საზოგადოებრივი დაწესებულებაა, ეკლესიაა სარწმუნოების და სინიდისისა. ადამიანის სრული განთავისუფლება მოითხოვს, რომ მიენიჭოს თავისუფლება სინიდისს და სარწმუნოებას და მორწმუნეებმა თავისუფლად მოაწყონ თავიანთი ეკლესია. ეკლესია უნდა განშორდეს სახელმწიფოს, არ უნდა ერევოდეს არც სასკოლო, არც სხვა საერო საქმეში, მაგრამ ამავე დროს ეკლესია არ უნდა იყოს იარაღად არა-სარწმუნოებრივ ინტერესებისათვის.—ეკლესია თავისუფალი უნდა იყოს თავის საეკლესიო საქმეებში.

დღემდის საქართველოს ეკლესია რუსეთის მთავრობის ბრმა იარაღი იყო. ქართულ ეკლესიის შემწეობით ბიუროკრატია ავიწროებდა ისედაც შევიწროებულ და გაჭირვებულს ქართველ ხალხს. ყოველგვარი საზიზღრობა, სისაძაგლე, ჯაშუშობა, სიბნელე და ბოროტება დაბინავდა ქართულ ეკლესიაში და იგი სდევნიდა და სჩაგრავდა ქართველ ხალხის ყოველივე კეთილ განზრახვას... დღეს ამას ბოლო უნდა მოეღოს: ქართული ეკლესია წინ არ უნდა ეღობებოდეს ქართველ ხალხის განთავისუფლებას და განვითარებას, აღარ უნდა იყოს ქართველთა ჩაგვრის იარაღად. უნდა განთავისუფლდეს, მოიპოვოს თვითმართველობა და ამასთან დაადგეს შინაგან რეფორმაციის გზას. ეს შეუძლია ქართველ სამღვდელოებას მოახდინოს საკუთარის ძალღონით და საკუთარის უფლებით, და თუ არ მოახდენს, მაშინ საკითხი სულ სხვანაირად უნდა გადაწყდეს..

წამება

პეტერბურგის გაზეთებში დაბეჭდილია საზარელი ამბავი სპირიდონოვის ქალის წამების შესახებ. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამ ახალგაზრდა ქალმა გიმნაზიელმა, ამას წინად ტამბოვის გუბერნიაში პოლიტიკურის აზრით მოჰკლა მოხელე ლუჟენოვსკი, რომელიც გლეხებს აწვალებდა და ათას საზიზღარ საქმეს სჩადიოდა. გაზეთებში დაბეჭდილი წერილი თვით სპირიდონოვის ქალს გაუგზავნია საპყრობილიდან. აი, თვით წერილი:

„ძვირფასო ამხანაგებო! ლუჟენოვსკი მატარებლით მიდიოდა. გზაში მინდოდა მომეკლა. ერთ სადგურზე ერთი დღე-ღამე დავრჩი, მეორეზედაც ერთი დღე-ღამე, ხოლო მესამეზე—ორი დღე-ღამე. როდესაც მატარებელი ბორისოგლებსკში მოვიდა, ყაზახები ბაქანიდან ყველას ერეკებოდნენ. გიმნაზიის ფორმა მეცვა და მხიარულად მეჭირა თავი. ლუჟენევსკის ვესროლე ვაგონის ბაქანიდან, 12-13 ნაბიჯის მანძილზე. ამ დროს ლუჟენოვსკი ყაზახებს შუა მიდიოდა. წინ ყაზახი შედგა. ვისროლე მანამდე, სანამ შესაძლებელი იყო. პირველ სროლის შემდეგვე ლუჟენოვსკიმ ჩაიკეცა, მუცელზე ხელი იტაცა და იქით-აქეთ დაიწყო სირბილი. მე ჩამოვხტი და სროლით გავიქეცი. დამცველი რაზმი ამ დროს გონს მოვიდა: მთელი პლატფორმა ხალხით გაივსო; გაისმა ყვირილი: „დაჰკა, მოჰკალი, ესროლე". ამოიღეს ხმლები. როდესაც ელვარე ხმლები დავინახე, ვიფიქრე, დადგა ჩემი აღსასრულის დღე და ცოცხალი არ დავნებდები—მეთქი. ამოვიღე რევოლვერი და საფეთქელთან მივიტანე, მაგრამ უცებ ხელი დამისუსტდა და ჩამომეშვა; მალე ცემისგან დასუსტებული პლატფორმაზე დავეცი. „სად არის თქვენი რევოლვერი?" დამიყვირა ოფიცერმა, რომელმაც საჩქაროდ გამჩხრიკა. ამ დროს დამიშინეს კონდახები და მთელ სხეულში საშინელი ტკივილი ვიგრძენ. ვეცადე მეთქვა: „დამხვრიტეთ", მაგრამ კონდახებით ცემა არ შესწყდა. ხელები პირზე მივიფარე, მაგრამ კონდახებით ისევ მაცლიდნენ; ამის შემდეგ ოფიცერი მწვდა თმის ნაწნავში და ისე ამაყენა, მომიქნია და პლატფორმაზე გადამაგდო. გრძნობა დავკარგე, ძალზე დამიშინეს პირსა და თავში. მერე ფეხში მწვდნენ და კიბეზე ჩამათრიეს. თავი კიბის საფეხურზე ეხეთქებოდა; თმით ეტლზე ამათრიეს და მიმიყვანეს რაღაც სახლში, სადაც აფიცერმა მკითხა: „ვინა ხარო". გადაწყვეტილი მქონდა ერთ წუთსაც არ დამემალა ჩემი ვინაობა, მაგრამ გვარი ვეღარ მოვიგონე და მხოლოდ ღავბოდავდი. ცემას განაგრძობდნენ ცხვირპირსა და გულში. საპოლიციო სამმართველოში ტანისამოსი გამხადეს და გამჩხრიკეს, მერე ცივ კამერაში წამიყვანეს, რომელსაც ქვის იატაკი ჰქონდა და სველი და ჭუჭყიანი იყო. 12 საათზე თუ 1-ზე კამერაში შემოვიდა ბოქაულის თანაშემწე ჟდანოვი და აფიცერი აბრამოვი. ამათთან დავყე ღამის 11 საათამდის: ამათ ჩვენება ჩამომართვეს და ისე მაწამეს, რომ თვით ივანე მრისხანეს შეშურდებოდა. ეს ორი ჯალათი იქით-აქეთ დადგნენ. ხან ერთი მკრავდა ფეხს, ხან მეორე. მერე უბრძანეს ჩემი გატიტვლება. ცეცხლიც-კი არ აანთებინეს გაყინულ ოთახში. ტიტველს მცემდნენ მათრახებით და თან მაგინებდნენ: „აბა (გინება), სთქვი ცხარე სიტყვა". ერთი თვალით უკვე ვეღარაფერს ვხედავდი და სახის მარჯვენა ნაწილი საშინლად ნაცემი მქონდა. ისინი ფეხს მაჭერდნენ ნატკენ ადგილზე და მეუბნებოდნენ: „გტკივა, ძვირფასო?" „აბა გვითხარი, ვინ არიან შენი ამხანაგები?" მე ვბოდავდი, გრძნობას ვკარგავდი და საშინლად ვიტანჯებოდი შიშით, რომ არ გამომეთქვა რამე... როდესაც გონს მოვედი, ჩემი გვარი და სახელი ვთქვი და განვაცხადე, რომ მე ვარ სოც.-რევოლიუციონერი და ჩვენებას გამომძიებელს მივცემ მეთქი ამასთან ვთქვი, რომ პროკურორის ამხანაგი კამენევი შემამოწმებს, რომ მე ტამბოველი ვარ მეთქი. ეს ძალიან ეწყინათ: თმებს მგლეჯდნენ თითო-თითოდ და მკითხავდნენ: „სხვა რევოლიუციონერები სადღა არიანო". მოკიდებულ პაპიროსს ჩემ ტიტველა ტანზე აქრობდნენ და თან მეუბნებოდნენ: „დაიყვირე, შე მაწანწალავ!" ზედ მადგებოდნენ ფეხებით და მიყვიროდნენ: „რატომ არა ყვირი შე... იქ მრთელი სოფლები ძროხებივით ბღავიან და ეს პატარა გომბიო-კი ხმას არ იღებს! აბა, დაიყვირე, დავსტკბებით შენის ტანჯვით, ღამე ყაზახებს მიგცემთ..." —„არა,—სთქვა აფიცერმა: ჯერ ჩვენა და მერე ყაზახებსაო," და მომეხვია; თან დამიღრიალა: „დაიყვირეო". წამოიყვანეს მატარებლით ტამბოვს. მატარებელი ნელა მიდიოდა. აბრამოვი გინებასა და ლანძღვას განაგრძობდა, ვგრძნობდი სიკვდილის მოახლოვებას. ყაზახებმაც-კი მოიწყინეს. „იმღერეთ, რას მოიწყინეთ, იმღერეთ, რომ ამ მაწანწალებს გული მოუკლას ჩვენის მხიარულებით." ისმოდა სტვენა და ყვირილი. თვალები გაუბრწინდათ, კბილებს აკრაჭუნებდნენ, საზიზღარ სიმღერას მღეროდნენ. მე ვბოდავდი: „წყალი." წყალი არსად იყო. ღამით აფიცერმა მეორე კლასში წამიყვანა და დამიწყო ალერსი, მომეხვია, ტანისამოსი გამიხსნა და თან საზიზღრად გაიძახოდა: „რანაირი ატლასის მკერდი გაქვს, რანაირი მშვენიერი სხეული გაქვსო". ძალა აღარა მქონდა, რომ გავძალიანებოდი და მომეშორებინა. ხმა აღარ მემორჩილებოდა და არც გამოვიდოდა რა. თავის გატეხა მინდოდა, მაგრამ არაფერი იყო ვაგონში. არც აფიცერმა მომცა ამისი საშუალება. წელა ფეხში წამკრა, რომ ძალა გამომლეოდა და წინააღმდეგობა ვეღარ გამეწია. დაუძახე ბოქაულს, მაგრამ ბოქაულს ეძინა. აფიცერი მეალერსებოდა, ნიკაპზე ხელს მისვამდა და ალერსიანად მეუბნებოდა: „რად აკრაჭუნებთ კბილებს, მოიმტვრევთ თქვენ პაწია კბილებსო". მე მთელი ღამე არა მძინებია, რადგან მეშინოდა გაუპატიურებისა. მეორე დღეს არაყი და შოკოლადი მითავაზა. როდესაც მარტო ვრჩებოდით, ისევ მეალერსებოდა. ტამბოვში მისვლამდის ერთ საათს დამეძინა. აფიცრის მოხვეულმა ხელმა ხელახლად გამომაღვიძა. იმავ აფიცერმა ციხეში წამიყვანა და გზაზე სულ მეუბნებოდა: „აი, მე გეალერსებიო". ტამბოვში ისევ ბოდვა დავიწყე და ძლიერ ავად გავხდი". გამომძიებელს შემდეგი ჩვენება მივეცი: სოც.-რევოლიუციონერთა ტამბოვის კომიტეტის დადგენილებით განვიზრახე მოკვლა ლუჟენოვსკისა, რომელმაც სახელი გაითქვა გლეხთა ცემით და წამებით აგრარულ და პოლიტიკურ მოძრაობის დროს, რომელიც ბორისოგლებსკში ყაზაღურად იქცეოდა იქაური დამცველი რაზმის უფროსობის დროს და რომელმაც ტამბოვში შავი რაზმი დაარსა. ეს განზრახვა იყო პასუხი ყველა ამისა და აგრეთვე საგანგებო და გაძლიერებული დაცვის წესების შემოღებისა ტამბოვსა და მაზრებში. სოც.-რევოლიუციონერთა ტამბოვის კომიტეტმა სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ლუჟენოვსკის და მეც სრულიად შეგნებით ვიკისრე ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა".

თელავის მაზრის მემამულეთა დამატებითი კრება.

(იხ. „ცნ. ფურ. № 3006)

ზოგიერთ მემამულეს არ მოსწონებია 14 თებერვლის კრების მიერ მიღებული რეზოლიუცია—ყოველგვარ რეპრესიებზე უარს ვაცხადებთ და ვუცდით იმ დროს, როდესაც აგრარული საკითხი კანონმდებლობით გადასწყდებაო—საყვედურიცა მიუმართავთ თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ. მ. ზ. ჭავჭავაძისათვის, საკმაოდ არ იყო საგანი განხილული და ამიტომ შეუფერებელი რეზოლიუცია მიიღო კრებამაო. წინამძღოლმა თ. ჭავჭავაძემ 16 თებერვალს ხელახლა მიიწვია თავისთან მემამულენი. სთხოვა ახლად შესდგომოდნენ საქმის გამორკვევას. თან დაუმატა, იქნება ვინმე უკეთეს საშუალებას გვასწავლის, უფრო სასურველ გზას დაგვანახვებს, დიდის სიამოვნებით დავადგებით იმ გზას, რომელიც საზოგადო მშვიდობიანობასს და კეთილდღეობას შორიდან მაინც დაგვანახვებსო.

14 თებერვლის კრებაზედვე ეტყობოდათ, რომ ახლილი, გამოაშკარავებული თათბირი ზოგიერებს არ მოსწონდათ. როგორ, შეკრებილიყვნენ მაზრის თავად-აზნაურნი საკუთარ საქმეზე მოსალაპარაკებლად და იქვე კი ისხდნენ და იდგნენ ვიგინდარანი? განა ამისთანა პირობებში შეიძლებოდა გულის ნადების გაზიარება, ალსარების თქმა? მერე ხომ გამომჟღავნდებოდა ეს აღსარება! იქნება ისეთებიც გამოჩენილიყვნენ, ეთქვათ, ეგ საქმე მარტო თქვენი კი არა, ეგ საზოგადო საქმეა და ყველას ნება აქვს თათბირში მონაწილეობის მიღებისაო.

წინამძღოლმა მიიწვია სახლში თავად-აზნაურნი. გარეშენი არ დასწრებიან. ითათბირეს, ითათბირეს და ვერ იპოვნეს ისეთი საშუალება, რომლითაც გლეხებს გადაჰხდომოდათ მემამულეთა ზარალი და ეს თვით მემამულეთ კი არ დაჰბრალებოდათ, გლეხები გატყავებულიყვნენ მემამულეთა ზარალის ანაზღაურებაში და ამასთანავე მადლობელნი დარჩენილიყვნენ მემამულეებისა, გლეხთა სარჩო-საბადებელი გადაეწვათ, გაენიავებინათ, გაენადგურებინათ, თვით ისინი დაეხოცათ, გაეუპატიურებინათ და ყველა ამით ჩაჰნერგოდათ გადარჩენილ გლეხთ ღრმა სიყვარული და ფრიადი პატივისცემა მემამულეებისა და მათის ოჯახობისა. ვერ იქმნა, ვერ გამოსძებნეს ეს ორპირული საშუალება, თუმცა ზოგიერთნი, ისინი, ვინც უკმაყოფილონი დარჩნენ 14 თებერვლის კრებისა, დახელოვნებულნი არიან ორპირობაში. ბევრჯელ აქეზებდნენ ესენი გლეხებს, რომ ჩვენ მარტო თქვენის სიკეთისათვის ვზრუნავთ: ღალის მომატება, წინგასავლის დაარსება, საბალახოს ერთი-სამად გადახდევინება, საქონლის უმიზეზოდ დამწყვდევა და სხვა ამისთანები გლეხთა აღსაზრდელად იხმარებოდა, უამისოდ იგი გაბრიყვდებოდა, დაიკარგებოდა დიდ-პატარაობა, უფროს-უმცროსობა და აირეოდა ღორ-ხბოსავითაო.

ზოგიერთების საბუთებს ღირსეულად ვაფასებთ, და მათ მაგიერ ვწუხართ, რომ დღევანდელ პირობებში ნაცადი საშუალებანი აღარ ვარგობენ და სხვა ორპირულ საშუალების გამომგონი ედისონი-კი ჯერ არ გაჩენილა. მიზეზი ერთია, თუმცა თქვენ სხვა სახელს არქმევთ და სხვანი სხვას: თქვენ ამბობთ, გლეხი გაბრიყვდაო, სხვანი-კი ამბობენ, გლეხი აღარ ტყუვდებაო. მე რო მკითხოთ, ვიტყოდი—ორივენი სტყუით მეთქი, რადგან მიზეზი აწინდელ პირობების შექმნისა გლეხი-კი არ არის, თქვენა ხართ, რომ დროს ვერ მიჰყევით, დამოკიდებულება არ შესცვალეთ დროის შესაფერად, დროს მოთხოვნილების თანახმად. იყო დრო, როცა წინამძღოლად ვარგოდით, დრონი იცვლინენ, თქვენ-კი ცვლილება არ დაგეტყოთ, უნდა ჩამოსდგეთ, მეტი ფართხალი ტყუილია. უნდა შეუერთდეთ ხალხს.

ამბობენ, ვითომ მაზრის უფროსს განზრახვა აქვს, რადგან ზოგიერთ სოფლის მცხოვრებნი ჯიუტობენ, მემამულეებს არც მამულში უშვებენ, არც თვით ხნავენ და

არც სხვა სოფლის გლეხებს აძლევენ ნებას მოხნან, ამ ჯიუტობის გასატეხად, საცდელად ორი სამი სახლი დააწვევინოსო. ჩვენ ეს არა გვჯერა. იქნება ყველა ამაში ცოტა რამ მართალი იყოს და სრულიად დაჯერება-კი მეტის-მეტია. მაზრის უფროსმა კარგად იცის, რომ თუნდ ერთი სახლის დაწვაც მოხდეს, უთუოდ აირევ-დაირევა საქმე. ვინ არის თავმდები, რომ სახლის დაწვა არ გაუხსნის ხელებს, ვისაც მღვრიე წყალში თევზის ჭერა უყვარს და ის ათ სახლს არ მოუკიდებს ცეცხლს? ვინ არის თავმდები, რომ დამწვარის სახლის პატრონი შურს არ იძიებს? ან ვინ არის თავმდები, რომ მთელი სოფელი არ გამოვა შურის მაძიებლად? ყველა ეს კარგად იცის მაზრის უფროსმა და ამიტომ ეს ამბავი ჭორად უნდა ჩაითვალოს. იქნება ზოგმა მემამულემ კიდეც სთხოვა მკაცრ ზომების მიღება, მაგრამ ვეჭვობთ, რომ მაზრის უფროსმა იმათი თხოვნა აასრულოს.

დამსწრე.

ახალი ამბავი

◆ **ნამესტნიკის ცირკულიარები.** „კავკაზ“-ის კვირის №-ში დაბეჭდილია კავკასიის ნამესტნიკის ორი ცირკულიარი, რომელიც შეეხება კავკასიაში სათათბიროს წევრთა არჩევნების საქმეს. ნამესტნიკი წინადადებას აძლევს გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს, დაუყოვნებლივ აცნობონ ხალხს არჩევნების კანონები და 25 თებერვლიდან შეუდგნენ ყველა განკარგულებას და მზადებას არჩევნების მოსახდენად. სიების შედგენა 24 მარტამდე უნდა დამთავრდეს, ამიტომ ამ დრომდე უნდა შეიტანოს განცხადებანი ყველამ, ვისაც სურს არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ცირკულიარების შინაარსს დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველთ.

◆ **თავ-დასხმა.** გუშინ, 20 თებერვალს, ოთხი შეიარაღებული კაცი თავს დაესხა კონტროლის პალატის მდივანს და ხაზინადარს მ. ლ. როლკეს და ხაზინიდან პალატის მოხელეთა ჯამაგირებისთვის გატანილი ფული წაართვა. დილის 10 საათზე როლკეს თან წაუყვანია სამსახურს გარეშე მყოფი პოდპოლკოვნიკი მალინოვსკი, რომელიც პალატაში მსახურებდა, აგრეთვე მოსამსახურე სიტკოვსკი და საგუბერნიო ხაზინაში წასულა ფულის გამოსატანად. როლკეს ხაზინიდან წამოუღია სულ 7099 მან. 37 კაპ; აქედან 6,683 მან. ერთ პარკში ყოფილა, ხოლო დანარჩენი ზოგი ჯიბეში ჰქონია ხაზინადარს, ზოგიც ცალკე ქაღალდში ყოფილა გახვეული. როდესაც ეტლით მიმავალი როლკე და მალინოვსკი კონტროლის პალატის ეზოს ალაყაფის კარებს მიახლოვებიან, საიდანღაც გაჩენილა ოთხი შეიარაღებული კაცი. აუტეხნიათ სროლა და მიჰვარდნიან ეტლში მჯდომთ. პოდპოლკოვნიკი ზედ დამჯდარა ცული პარკზე და დაუწყია ჯოხით მოგერება. ამ დროს კიდევ გავარდნილა რევოლვერი, ტყვია მალინოვსკის თავში მოხვედრია და იქვე მოუკლავს. უცნობებს დაუვლიათ პარკისათვის ხელი, ჩასხდარან ეტლში და დიდის მთავრის ქუჩითვე გაქცეულან. ამავე დროს პალატის ეზოდან მოსამსახურენი ახლად მიღებულ ფულს ეზიდებოდნენ კანცელარიაში. როცა რევოლვერის ხმა და ყვირილი გაუგონიათ, შეცვივნულან პალატაში და უცნობებიათ სხვებისთვის. ამ ხმაურობაზე იქვე მყოფი მოხელე ა. ტ. ილინი და პალატის მეეზოვე უშაკოვი ქუჩაში გამოვარდნილან და ეტლს დასდევნებიან ყვირილით. ეტლი წინ შეჩერებია ფურგუნებს და სწრაფად გვერდი ველარ აუქცევია. ეტლში მჯდომთაგანი ერთი მარცხნივ, ხოლო მეორე მარჯვნივ გადამხტარა და გაქცეულა. ესენი ისე მიმალულან, რომ იმათ კვალს ველარ მიაგნეს. ილინს, როგორც თვითონ ამბობს, თვალი შეუსწრია ერთისთვის, რომელიც იმავე ქუჩაზედ წოვიანოვის სახლის ეზოში შევარდნილა, ამასთან რევოლვერი მობინადრე ქვრივის ივანოვის შესავალ კარებთან დაუხლია. ძებნის შემდეგ დღეჟურიათ ერთი კაცი, ჯერ კანტროლის პალატის სადგომში მიუყვანიათ, ხოლო შემდეგ საკომენდანტო სამართველოში გაუგზავნიათ. უცნობს უთქვამს, სამსონ ღლონტი ვარ და ამ საქმეში არავითარი ბრალი არ მიმიძღვისო. მოკლულ პოდპოლკოვნიკის გვამი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ **„ვოზროჟდენიე“.** კვირას, 19 თებერვალს განახლდა გაზეთი „ვოზროჟდენიე“. რედაქტორად ბ-ნი მდივანია, გამომცემლად ისევ ბ-ნი გოთუა. პირველსავე ნომერს უბედურება შეემთხვა. როგორც გავიგეთ დახურვა უნდოდათ გაზეთისა იმდრომდე, სანამ სამხედრო წესები არ აიხსნება, მაგრამ პირველად საქმე გაფრთხილებით გათავდა.

◆ **ჯორჯიაშვილის საქმე.** გუშინ, 20 თებერვალს, სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე არსენ პავლიას ძის ჯორჯიაშვილისა. დილის 9½ საათზედ დრაგუნთა ძლიერმა რაზმმა ჯორჯიაშვილი სამხედრო სასამართლოში მიიყვანა. სასამართლოს სადგომს იცავდნენ ჯარის კაცები და პოლიციელები. სასამართლოში თავმჯდომარეობდა გენერალი ჩერბოვიჩ-ვეჩორი. ბრალს სდებდა პოლკოვნიკი სემაშკო, ხოლო ბრალდებულს იცავდნენ ნაფიცი ვექილები თავ. ი. ბარათაშვილი და ვ. ა. კლანკი. საქმე გაირჩა ხალხის დაუსწრებლად. გუშინ ჩვენება ჩამოართვეს 20 მოწმეს. საღამოს 6 საათზედ სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იქნა ჯორჯიაშვილი ცნობილი გენერალ გრიაზნოვის განზრახვით მოკვლაში და მიუსაჯა ჩამოხრჩობით სიკვდილით დასჯა. თავზარ დამცემი შთაბეჭდილება მოახდინა განაჩენმა მშობლებზე. ბრალდებულის ვექილებმა გადასწყვიტეს გადაწყვეტილების განსაჩივრება.

◆ **სასულიერო სასწავლებლების რეფორმა.** სასულიერო სასწავლებლის გამგეობასთან შემდგარმა კომისიამ, რომელსაც სინოდისაგან დავალებული აქვს ამ სასწავლებლების რეორგანიზაციის საკითხი, დაადგინა ყველა აწ არსებული სასულიერო სასწავლებელი დაჰყოს ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შევა ხუთი სასულიერო სასწავლებელი განსაკუთრებით ქართველებისათვის, მეორე ჯგუფში შევა ერთი სასულიერო სასწავლებელი რუსებისათვის. პროგრამა ამ სასულიერო სასწავლებლებში გიმნაზიის პროგრამისთანა იქმნება, ასე რომ კურს-დამთავრებულთ პირდაპირ შეეძლებათ შესვლა უმაღლეს სასწავლებელში და სასულიერო სემინარიაში აღარ გადავლენ. სასულიერო სემინარია დარჩება მხოლოდ სამღვთისმეტყველო კურსებისათვის.

◆ **დაპატიმრებულთა საქმე.** როგორც ვწერდით, ქართლში დააპატიმრეს მასწავლებელი ივანე ხანდამოვი, მღვდლები მოსე კავკასიძე (მოხუცია) და სიმონ წერეთელი. ამათი საქმე გამოსაძიებლად სამოსამართლო პალატას ტფილისის გუბერნიის ჟანდარმთა გამგეობისათვის გადაუცია.

◆ **განთავისუფლება.** 19 თებერვალს ალექსანდრეპოლის ციხიდან გაანთავისუფლეს რკინის გზის მოსამსახურენი: ლიანდაგის ოსტატი ალექსი ცხოდაძე, სადგურის უფროსის თანაშემწე რაჟდენ ტყაბლაძე, კასირი ლუარსაბ მღრაძე, კონდუქტორი ასლან ჩიკვაიძე, ზეინკალი ზაქარია მამაცაშვილი, ვაგონების გამსინჯავი ადამ ჟალისია. ესენი ყველანი სამსახურიდან არიან დათხოვნილნი. ქუთაისის საპყრობილიდან გაანთავისუფლეს რკინის გზის ინჟენერი კაციტაძე.

◆ **ნახევარ მილიონ მანეთის დანაზოგება.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უმცროსს მოსამსახურეთა ჯამაგირის მისამატებლად სამინისტრომ გადასცა ნახევარი მილიონი მანეთი. მოემატებათ ათი პროცენტი მხოლოდ იმ მოსამსახურეებს, რომელთაც ჯამაგირად 660 მანეთზე მეტი არა აქვთ წელიწადში. მომატება დაიწყება ჯერ იმ მოსამსახურეებიდან, რომელთაც წელიწადში 170 და 200 მან. აქვს. ამ ფულიდან ყველაზე მეტი შეჰხვდება რემონტის ნაწილის მოსამსახურეთ, რადგან იქ ძალიან ბევრია მცირე ჯამაგირიანი. ამის გამო რკინის გზის მთავარ სამმართველოში ნაწილის უფროსებს და რკინის გზის სამხედრო უფროსს ნეგებაუერს აგერ ერთი კვირაა ყოველ დღე კრება აქვთ. თათბირი სამშაბათისთვის უნდა დამთავრდეს.

◆ **რკინის გზის მოსამსახურეთა სახლის ქირები.** ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ რკინის გზის ზოგიერთ დაბალ მოსამსახურეს ამა წლის პირველ იანვრიდან დაენიშნა სახლის ქირა, მაგრამ ჯერ არ მიუღია. ამის შესახებ ყველა რკინის გზის უფროსებმა, მათ შორის ამიერ-კავკასიისამაც, მინისტრისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „რომელ გზასაც არ შეუდგენია სიები დაბალ მოსამსახურეთა: ტელეგრაფისტებისა, მესარკეებისა, ვაგონების გადამბმელებისა, ორთქლ-მავლის გამცილებელ მუშებისა, შეადგინოს და პირველ იანვრიდან დაუნიშნოს სახლის ქირა მანეთიდან ათი პროცენტიო. ამიერ კავკასიის რკინის გზის მოხელენი, როგორც გავიგეთ, მარტში ერთად მიიღებენ ორი თვის სახლის ქირას.

◆ **სომეხ-თათართა შერიგების საქმე.** გუშინ, 20 თებერვალს, ნაშუადღევს 1 საათზედ, ნამესტნიკის საბჭოში დაიწყო სომეხთა წარმომადგენლების სხდომა.

◆ **სასწავლებლის დაკეტვა.** ტფილისში, როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, უსინათლოთათვის მზრუნველ საზოგადოებას აქვს უსინათლოთა სკოლა და თვალის სამკურნალო. ეს საზოგადოება დიდ საგონებელშია, რადგან ფული სრულებით აღარა აქვთ. ფიქრობენ, უსინათლოთა სკოლა დროებით დახურონ, ხოლო საავადმყოფო ავლაბარში გადაიტანონ და სახლი შეამცირონ, რადგან საკუთარი სახლი აქვს ჯერ-ჯერობით საქმე მაინც ვერ გადაუწყვეტიათ, რადგან საზოგადოებას ძალიან ემძიმება სკოლის დაკეტვა.

◆ **პეტერბურგიდან** ამბავი მოგვივიდა, რომ კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე ტაინი სოვეტნიკი მ. პ. პაკელი კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს წევრად ინიშნება.

◆ **საერობო დარაჯის უფროსი,** პოლკოვნიკი დუბანოსი, რომელიც დუშეთის მაზრის უფროსად უნდა დაენიშნათ, ამიერ-კავკასიის საერობო დარაჯთა უფროსად ინიშნება, ნაცვლად ტიზენგაუზენისა, რომელიც სხვა თანამდებობაზე გადაჰყავთ.

◆ **ახალი წიგნი.** გამოვიდა ქართულად ახალი, მეტად საინტერესო წიგნი „შიმშილი“, მოკლე პოლიტიკური ეკონომია, ა. ბარისა, თარგ. თ. სახოკიას მიერ, გამოცემა „გუთნისა“. წიგნი მოზრდილია და ღირს ერთ აბაზად.

◆ **მომრიგებელნი შუამავალნი.** თელავის მაზრის მომრიგებელი შუამავალი გენერალი გოგაიაშვილი სამსახურიდან გადამდგარა. იმის ადგილზე დაინიშნა სიღნაღის მაზრის ყოფილი უფროსი იგნაციუსი. სოხუმის ოლქის მომრიგებელი შუამავალი კაპიტანი მისტროვი ტფილისის მაზრის შუამავლად გადმოუყვანიათ. დუშეთის მაზრის შუამავალი გიორგი მაჩაბელი ტფილისში გადმოჰყავთ ამავე თანამდებობაზე.

◆ **ახალ სიების შედგენა.** როგორც ვიცით, გასულ წელს ბევრს ალაგას გადიწვა სოფლის კანცელარიები და მასთან ერთად აღწერის ქაღალდებიც. ეხლა გუბერნატორმა ნამესტნიკს შემდეგი მოხსენება წარუდგინა: რადგან ამ ჟამად დარჩენილ საადღწერო სიებით აღარ შეიძლება სარგებლობა და რადგან ზოგიერთ სოფელში სრულებით აღარ მოიპოვება ეს სიები, რაიცა სამხედრო ბეგრის საქმეს ძლიერ აფერხებს, ამიტომ ნება მოგვეცით ეს სიები ხელ-ახლა შევადგინოთ. ამასთან საჭირო თანხაც უნდა გადაიდოსო. გუბერნატორის ანგარიშით ამ საქმეს 19,020 მანეთი დასჭირდება.

◆ **სამხედრო ბეგარა.** შარშან სამინისტროს განკარგულებით, ტფილისის გუბერნიიდან კენჭის ამოსაღებად გამოწვეული იყო სულ 8757 კაცი, აქედან ქრისტიანი იყო 8554 კაცი, ებრაელი—94, თათარი—3, სექტანტი 106 კაცი. ჯარში უნდა გაეყვანათ 3402 კაცი, ნამდვილად კი გაიყვანეს 2243 კაცი. სათადარიგო ჯარში ჩაირიცხა 13 კაცი, უვარგისად იქმნა ცნობილი 307 კაცი, პირველ ხარისხის სათადარიგო ჯარში ჩაირიცხა 467 კაცი. არ გამოცხადდა ბეგრის მოსახდელად 2946 კაცი. აქედან ებრაელი 10-ია, ქრისტიანი აკლია ჯარში 1154 კაცი, თათარი 1 კაცი.

◆ **ყაზახთა რაზმი.** კვირას, 19 თებერვალს, ყაზახთა დიდი რაზმი არსენალსა და ნაძალადევის შუა დადიოდა და ხევებსა და გორებს ათვალიერებდა. რაზმი ტფილისკენაც წავიდა და იქიდან ნაძალადევზე ჩამოიარა.

◆ **განკარგულება.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ ქუთაისს, ბათუმს, ბაქოსა და ტფილისში შემოკლებულ იქნეს მოსულ საქონლის შენახვის ვადა. წინად სწრაფის მატარებლით მოსული საქონელი ინახებოდა 24 საათს. არა სწრაფისა—48 საათს. თუ ამ ვადაზე არ გაიტანდნენ, მეტი ხდებოდათ. ეხლა პირველი ინახება 12 საათს, მეორე 24 საათს. თუ ვადაზე არ გაიტანეს სამჯერ იმაზე მეტი გადახდებათ, რაც წინად ხდებოდათ. ეს განკარგულება იმან გამოიწვია, რომ საწყობები მეტადრე ქუთაისისა, სავსეა საქონლით; განკარგულებას-კი ახდენენ, მაგრამ იმაზე არა ფიქრობენ, სად წაიღონ საქონელი, მაგალითად, ქუთაისის ვაჭრებმა როდესაც მაღაზიები ცეცხლს მისცეს და გადაბუგეს.

◆ **ბაუერის განკარგულება.** ქართლის გენერალ-გუბერნატორმა ბაუერმა დუშეთის თავად აზნაურთა შუამდგომლობის თანახმად, შესცვალა სავალდებულო დადგენილება დუშეთის ჯარის უფროსის პოლკოვნიკ დიკისა, რომელმაც ქ. დუშეთში ჯერ ნებართვის მოწმობები გასცა მცხოვრებთა სახელზე იარაღის ტარებაზე და მერე-კი იარაღი უკანვე მოსთხოვა.

◆ **დაჯარიმება.** დუშეთიდან გვატყობინებენ: ამ მაზრაში დაბანაკებულ ჯარის უფროსმა პოლკოვნიკმა დიკმა 25 მანათით დააჯარიმა ყველა სავაჭრო დაწესებულება უდროოდ დუქნების დაკეტვისათვის. ეს ფული უკვე პოლკოვნიკმა შეატანინა ვაჭრებს სახელმწიფო ხაზინაში.

ფელეტონი

სასოფლო-მეურნეობა და კაპიტალისტური განვითარება

შემდეგი *)

V. კ. კაუცკის „აგრარული საკითხი“.

ზევით ვსთქვით, რომ მარქსიზმის დოგმატურმა მიმართულებამ გაიმარჯვა ბრესლავლის კრებაზე. მაგრამ ეს მთლად მართალი არ არის. გამარჯვება უფრო პიროსისებური იყო. დამარცხებულნი სრულებით არა ჰგრძნობდნენ დამარცხებას და მხნედ წინასწარმეტყველობდნენ აგრარულ პროგრამის აღორძინებას; მათის ზედგავლენით პარტეიტაგმა გამოაცხადა, რომ „სასოფლო მეურნეობა ემორჩილება თავისებურ კანონებს, რომლებიც განსხვავდება ინდუსტრიის განვითარების კანონებისაგან“. გამარჯვებულნი კი ხედავდნენ, რომ დაჰკარგეს ძველი თეორეტიული პოზიცია. დოგმატიკოსებისათვის საჭირო შეიქნა პოზიციის დაკარგვის გამართლება, მათ უნდა შეესწორებინათ ზოგიერთი ძველი შეხედულობა, შეეტანათ შენიშვნები თეორიაში. ამ საქმის შესრულება იკისრა დოგმატიკოსების თეორეტიულმა მეთაურმა, კ. კაუცკიმ, „დოგმატიზმის დიდმა ინკვიზიტორმა“, როგორც უწოდა მას ერთმა მარქსისტულმა გაზეთმა.

ამ მხრივ განვიხილავთ კაუცკის წიგნს „აგრარულ საკითხს“. მას თავიდანვე ეტყობა, რომ ბევრს მუხლში უთმობს კრიტიკას, მაგრამ ამასთან იმასაც სცდილობს, რომ ეს დათმობა მიმალოს, მიაფუჩჩოს. როცა უნდა შეასწოროს ძველი აზრები, ამ შესწორებას გაკვრით, სხვათა შორის გამოსთქვამს ყოველთვის და გამოუცდელი ან, ნამეტურ, დოგმით გამსჭვალული მკითხველი ვერც კი შენიშნავს. სამაგიეროდ გარკვევით და პირველ ადგილზე ამბობს იმას, რომ საამისო არა მომხდარა-რაო: მართალია, ზოგიერთი ახალი ფაქტი აღმოჩნდა, მაგრამ დოგმა მაინც უცვლელი და შეურყეველი რჩებაო.

კაუცკი იძულებულია, აღიაროს: „სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ნამდვილად არ მოხდა ის სწრაფი მოსპობა წვრილ სასოფლო მეურნეობისა მსხვილის მიერ, რომელსაც მოელოდნენ, მსგავსად ინგლისისა, კონტინენტზედაც მას შემდეგ, რაც აქ კაპიტალიზმი ფართოდ განვითარდა. პირიქით, ზოგან იმის ტენდენციას ვხედავთ, რომ წვრილი წარმოება იზრდება, ფართოვდება მისი ტერიტორია“. „თუმცა ამერიკაში დღემდის სამიწათმოქმედო ევოლუცია მეტის სისწრაფით მიდიოდა წინ, ვიდრე ევროპაში, და უფრო უწყობდა ხელს მსხვილს მეურნეობას, ვიდრე ფიქრობენ საზოგადოდ, —იქაც არ შეიძლება ლაპარაკი წვრილ მეურნეობის გაძევების შესახებ“. „ციფრები... პირველი შეხედვით იმას მოწმობენ მხოლოდ, რომ ევოლუცია (სასოფლო მეურნეობისა) არ არის ისე მარტივი, როგორც ამას ვფიქრობდით დღემდის, და უეჭველია, ეს პროცესი მიწათმოქმედებაში უფრო რთულია და ჩახლართული, ვიდრე ინდუსტრიაში“. კიდევ უფრო გადაჭრით განაცხადა კაუცკიმ შტუტგარდის კრებაზე: „მეორეს მხრით აღვიარებ, რომ აგრარული ურთიერთობა არ ვითარდება იმავე შაბლონით, როგორც ინდუსტრია. აღვიარებ აგრეთვე, რომ ერფურტის პროგრამის შემუშავების დროს აგრარულ საკითხების შესახებ ბევრი სხვანაირი აზრი გვქონდა, ვიდრე გვაქვს დღეს. მას შემდეგ დიდძალი სტატისტიკური მასალა შეიკრიბა, გარემოებაც გამოიცვალა და ჩვენ ბევრის შესახებ სხვანაირად უნდა ვიფიქროთ ეხლა, ვიდრე ვფიქრობდით წინად... მე ვამბობ სრულიად გულახდილად: დღეს რომ ხელახლა ვადგენდეთ ერფურტის პროგრამას, მე აგრარულ საკითხის შესახებ, ალბად, წარმოვადგენდი სხვა ფორმას.“

განა ამის შემდეგ შეიძლება ვსთქვათ, რომ ძველი თეორია იგივეა? კაუცკი მაინც გულს არ იტეხს და სცდილობს, „გაამართლოს“ დოგმა. ყველაზე უწინარეს ავტორი აღნიშნავს: როცა კაპიტალიზმის ღირსება-ნაკლულოვანებაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვილაპარაკოთ თანამედროვე მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობის და არა ძველ, ნახევრად ფეოდალურ მეურნეობის ნაშთების შესახებაო. სრული ჭეშმარიტებაა: უნდა შევადაროთ ერთმანეთს საგნები მათის ნამდვილის სახით. როდესაც კაპიტალიზმს ვადარებთ სხვა ფორმას, უნდა ავიღოთ წმინდა კაპიტალიზმი. მაგრამ ამგვარადვე გაწმენდილი და ნამდვილი თანამედროვე უნდა იყოს ის წვრილი საგლეხო მეურნეობაც, რომელსაც გვინდა დავუპირდაპიროთ კაპიტალიზმი. კაუცკი კი ამას არ ფიქრობს. კაპიტალიზმის სრულს განვითარებას ხელს უშლის ძველი ნაშთებიო. მაგრამ განა საგლეხო მეურნეობაც შებოჭილი არ არის ბატონყმობის და ფეოდალიზმის ნაშთებით (ინიციატივის მოსპობა, ბრმა კონსერვატიზმი, უსწავლელობა)? ამგვარადვე სცდება ავტორი, როდესაც სწერს: „რამდენადაც უფრო მწვავდება კლასთა ბრძოლა, იმდენად უფრო სცდილობს მთავრობა დაეხმაროს წვრილ მეურნეობას და შეურჩინოს მას პარაზიტული არსებობა. ამით შეიძლება დაგვიანდეს ამგვარ მეურნეობათა მოსპობის პროცესი“. ნამდვილად, თანამედროვე ხელმწიფოების უმრავლესობის პოლიტიკა იცავს მსხვილ მეურნეებს და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მსხვილ მიწათმოქმედებას და კაპიტალს დიდი ძალა მოეპოვება იმისთვის, რომ პირდაპირ უბრძანოს ხელმწიფოს ამა თუ იმ პოლიტიკის განხორციელება.

კაპიტალიზმი სპობს წვრილ მეურნეობას, ეს კანონია,—ამბობს კაუცკი:—ხოლო ეს იმას არა ნიშნავს, რომ ყველა წვრილი მეურნეობა ფაქტიურად უნდა მოისპოს უთუოდ. ეს უეჭველად მოხდებოდა ნორმალურ პირობებში. მაგრამ წვრილი მეურნე არა სჭამს სამყოფნად, მუშაობს გადამეტებულად და ამის შემწეობით უმაგრდება კაპიტალისტურ წარმოებასაო. აქაც ცალ-მხრივობაა. ეჭვს გარეშეა, წვრილი მიწათ-მომქმედნი გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, მაგრამ უკეთესი ცხოვრება აქვთ განა მსხვილ მიწათ-მოქმედის მუშებს? დამტკიცებულია, რომ სოფლის მუშებს ყველგან მცირე ქირა ეძლევათ, ჰმუშაობენ ძლიერ ბევრს, სამუშაოს შოულობენ მხოლოდ რამდენსამე თვეს, მერე კი სრულიად უსაქმოდ რჩებიან; მათ შესახებ ჯერ კიდევ მარქსმა სთქვა: „სოფლის პროლეტარი ერთის ფეხით სიღატაკეში დგასო“. არა, თუ, მიუხედავად კაპიტალის გავლენისა, წვრილი საგლეხო მეურნეობა არ ისპობა და ვითარდება კიდეც, ეს ხდება ალბად იმიტომ, რომ იგი ხელსაყრელია და სასარგებლო გლეხისათვის შედარებით სხვა გვარ სამუშაოსთან.

მაგრამ შეიძლება წვრილ მეურნეობის ზრდა და განვითარება მხოლოდ სჩანს და ნამდვილად კი არ არსებობს? ჩვენი ავტორი ამის შესახებაც აღუძრავს მკითხველს ეჭვს. წვრილ მეურნეთა რიცხვი, მართალია, იზრდებაო, მაგრამ ამასთან წვრილი მეურნეობა წვრილმანდება, მეტად პატარავდება, ჰკარგავს ყოველსავე ძალას და ამით ფაქტიურად ჰქრება, აღარ არსებობსო. ვეთანხმებით ავტორს, რომ ხდება მეურნეობის დანაწილება, დაწვრილმანება. მაგრამ თვითონვე აღიარებს, რომ მატულობს არა მარტო რიცხვი წვრილ მეურნეთა, არამედ მათის მიწების სივრცეც. მეორეს მხრით, ზოგიერთ შემთხვევაში მეურნეობის დანაწილება საჭიროცაა, რადგან ამას მოითხოვს კულტურის ინტენსიფიკაცია. ეს რომ ასეა, კაუცკიმ იცის, ალბად; ამიტომ სცდილობს სხვა მხრივაც გაამართლოს წვრილ მეურნეობათა გაფართოების ფაქტი და გვიმტკიცებს: მსხვილი წარმოება ერთსა და იმავე დროს არა ჩნდება ყველა დარგში; სადაც იგი გაბატონდება, იქიდან გამოაძევებს წვრილ წარმოებას, ხოლო ყველა ეს გამოძევებული მწარმოებლები დაქირავებულ მუშებად კი არა ხდებიან, არამედ ბევრი მათგანი გადადის იმ დარგში, სადაც ჯერ კაპიტალიზმი არ გაბატონებულა და იქ ამრავლებენ წვრილ მეურნეთა რიცხვსო... ამით კაუცკის იმისი თქმა უნდა, რომ სოფელში ახლა დროებით თავს იყრიან სხვა დარგებიდან გამოძევებული წვრილი მწარმოებლები და ამიტომ ემჩნევა სოფლის წვრილ მეურნეობას განვითარება, მაგრამ სოფელშიც გაბატონდება კაპიტალი და მოისპობა წვრილი წარმოება. კაუცკის მოსაზრება სრულებით არ შეეფერება სასოფლო მეურნეობას. სოფლის მცხოვრებთა რიცხვი კი არ მატულობს, არამედ თანდათან კლებულობს, სოფლიდან გარბიან მცხოვრებნი და ვინც ერთხელ იგემა ქალაქის ცხოვრება, ის აღარ უბრუნდება სოფელს. სხვა და სხვა გვარ ხელობის ისტორიაში ყოფილა მაგალითები, რომ როცა ერთი ხელობა დაცემულა, ხელოსნები მეორე ხელობაში გადასულან და იქ საშინელი კონკურენცია გამოუწვევიათ. მაგრამ ამით ვერ ავხსნით წვრილ სასოფლო მეურნეობის განვითარებას. დამარცხებულ პროფესიიდან გადადიან უფრო მარტივ პროფესიაში. მიწათმოქმედება კი ძნელია უჩვევის, სხვა ხელობის კაცისთვის; მიწათმოქმედებისათვის საჭიროა გამოცდილება, თავიდანვე დაჩვევა.

ფაქტები ფაქტებად რჩება: თვითონ კაუცკის ანგარიშით, წვრილ მწარმოებელთა რიცხვი მიწათმოქმედებაში სულ იზრდება და იზრდება. მეორეს მხრით სრულებით არ ემჩნევა გამრავლება სასოფლო-სადღეურო მუშების—წმინდა პროლეტარების—რიცხვს, პირიქით ეს რიცხვი უფრო და უფრო კლებულობს. ამის ახსნა შეიძლება მხოლოდ სასოფლო მეურნეობის განსაკუთრებულ თვისებით.

არსებობს ასეთი შეხედულობა, ვითომ სასოფლო მეურნეობაში საზოგადოდ წვრილი წარმოება უფრო სასარგებლო იყოს, ვიდრე მსხვილი. ამას უარყოფს კაუცკი და სრულიად სამართლიანადაც. ჯერ კიდევ ფურიემ დაგვისურათა საუცხოვოდ, თუ რა უპირატესობა აქვს საკუთრების და სამიწათმოქმედო შრომის კოოპერაციას (მას ბინაც უფრო იაფად უჯდება, მანქანაც, თესლიც, თვითონაც უკეთეს ფასად ჰყიდის ნაწარმოებს და სხ.) კაუცკი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ფურიეს საბუთებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ფურიეს წარმოდგენილი ჰქონდა კოოპერაცია, როგორც წმინდა ფორმა სამიწათმოქმედო ასოციაციისა, როგორც პირდაპირი კავშირი მწარმოებლებისა. კაუცკის შესახებ კი არ ვიცით, რას გულისხმობს, როდესაც ლაპარაკობს „მსხვილი წარმოების ტეხნიკურ უპირატესობაზე:“ ხან ლაპარაკობს საზოგადოდ მსხვილ წარმოების შესახებ, ხან შრომისა და საკუთრების შეერთების, ხან მსხვილ წარმოების დღევანდელ კაპიტალისტურ ფორმის შესახებ. ასეთი არევ-დარევი საგანს ვერ გამოარკვევს და კარგი იქნებოდა, რომ კაუცკი ჩაკვირვებოდა მარქსის ნაწერებს სადაც წაიკითხავდა, რომ შრომის განაწილება და სხვა უპირატესობა წარმოსდგება კოოპერაციის არსებიდან და არა კოოპერაციის ამა

---

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 3005.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ს.-დემოკრატიულ პარტიის ბიურომ მიიღო კარგა ძალი პოპულიარული ბროშურები. ბიურომ სთხოვა გ. მ. გვაზავს ბროშურების გადათარგმნა ქართულად, სომხურად — „მშაკის“ რედაქციას.

◆ იბეჭდება „თვითმართველობა ხალხისა ახალ ზელანდიაში“, თარგ. ბ. ტყემალაძისა.

◆ სემინარიის გამგეობამ ექსარხოსისაგან მიიღო დეპეშა; სთხოვს აცნობოს, რომელი მასწავლებელი სემინარიისა ისურვებს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის უფროსის თანამდებობასათ.

◆ მოგვივიდა საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალის „ჯეჯილის“ მე-12 ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა:

„ვაიმე, მიშველეთ!“ სურათი; „ტოროლა“, ლექსი მით მღვიმელისა; „გუშინდელი ამბავი“, ტასოს; „მთვარის მოგზაურობა“, სამი სურათი (გერმანულიდან), ა. ყუმისთაველისა; „ბიძიას ნაამბობი“ (სურათები ბავშვების ცხოვრებიდან), შემდეგი, ალ. ნათაძისა; „გვირილა და ტოროლა“ (ანდერსენის ზღაპარი), ვ. მიქაბერიძისა; წვრილმანი: გამოცანა და სხვა; „მამა დაბრუნდა“, ეკ. გაბაშვილისა; „უგუნური ბავშვი“, მოთხრობა მონგომერისა, თარგ. (გაგრძელება), ელ. წერეთლისა; „ყუმბარა“ (შვილიშვილის ნაამბობი), ალ. სარაჯიშვილისა; „ჯვაროსნული გალაშქრება ბავშვებისა“ (დასასრული), ე. სისიაკივისა, თარგმანი ნ. ენუქიძისა; ფიზიკური გეოგრაფია პროფესორ გეიკისა (დასასრული), სან-ინისა; ანდაზები.

◆ გუშინ, 20 თებერვალს, ტფილისის სადგურზე შეიპყრეს ორი ბანტაყისტი. ერთმა თავი ამირაღოვად განაცხადა, მეორემ დანდუროვად. ამ ვაჟბატონებმა უსახელო წერილი მიუწერიათ ტფ. მცხოვრებ ანდრეევისათვის, ამა და ამ დროს სადგურზე მოდი და ბილეთის კასასთან ოცი თუმანი პაკეტით დაგდეო. ანდრეევს უცნობებია პოლიციისთვის და პოლიციამაც შეიპყრო ეს პირნი.

◆ სად. წიფა. 17 თებერვალს, როდესაც მატარებელმა გაიარა, ნახეს გასრესილი გვამი ლიანდაგზე მომუშავის კონსტანტინე ლომსაძისა, 27 წლისა.

◆ ბორჩალოს მაზრის სოფელ ბაშკოვის საზოგადოების მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ ამ მიმდინარე წლის ყოველნაირი სახელმწიფო და საერო გადასახადების გადახდევინება გადადებულ იქმნას სხვა დროისთვის, რადგან აღნიშნული სოფელი 1905 წელს დაზარალებულა მოუსავლობით.

◆ 16 თებერვალს პოლკოვნიკის ქვრივს ანნა ზრილოლეცკისას ჯიბგირებმა ხელიდან ფულიანი ქისა გამოგლიჯეს და გაიქცნენ. ჯიბგირები პოლიციამ უკვე შეიპყრო. აღმოჩნდნენ ტფილისის მცხოვრები მიხეილ ბაღდასაროვი და ყრუ-მენჯი, რომლის გვარი ვერ გაიგეს.

◆ 16 თებერვალს, პოლიციის მე-10 ნაწილში, ტიპიძის დუქანში ჩხუბი მოსვლიათ ეფრემ გელიაშვილსა და ტოშაძის მსახურებს. გელიაშვილს ბებუთით დაუჭრია იასონ კოლადეიშვილი და მეორე მსახური. იგი დააპატიმრეს.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში, 19 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, 4 შეიარაღებული კაცი შეუვარდა მედუქნეს ილარიონ ტყემელაძეს. დუქანში დახლი გასტეხეს და იქიდან ამოიღეს 300 მან. აქვე ყოფილა გლახა მიქაძე, რომელსაც წაართვეს საათი ქამარი და ფული სულ 160 მან.

◆ ამავე დღეს, პოლიციის, მე-10 ნაწილში, ოტიტა მადერის ყავახანაში, შევარდა 5 შეიარაღებული კაცი. მადერს ხანჯალი დააჭირეს და უთხრეს, ეხლავ ფული, თორემ მოგკლავთ. მადერმა გასაღები გადასცა და უთხრა, ფული კასაშია, წაიღეთ, ოღონდ ნუ მომკლავთო. უცნობებს კასა გაუღიათ და 400 მან. წაუღიათ. იქვე ქარხნის მოხელე-მოსამსახურენი ყოფილან, მაგრამ მადერს ვერ მიშველებიან შიშისაგან.

◆ 18 თებერვალს, მუხრანის ქუჩაზე, მეპურეს შეუვარდა 4 შეიარაღებული კაცი. წაუღიათ ფულად 6 მან. და 8 მან. საათი.

ქუთაისის ამბები

◆ „ჩერნომ. ვესტნიკ“-ში მოთავსებული ქუთაისიდან გაგზავნილი ახალი ამბავი შესახებ იმისა, ვითომც სოხუმის მახლობლად შეეპყროთ სარევოლიუციო პარტიეის ოთხი მეთაური, რომელნიც ქუთაისიდან გაიქცნენ და იმალებოდნენო,—სიმართლეს უნდა იყოს მოკლებული. მასთან მეტად გაუგებარია, რომელ საბუთის ძალით მისცა ქუთათურმა კორესპონდენტმა იმის მიერ დასახელებულ ოთხს კაცს სარევოლიუციო პარტიების მეთაურთა დიპლომი?! ნუთუ ყველა, ვინც ამ ჟამად ქუთაისში არ იმყოფება შემთხვევით, ან ავადმყოფობის გამო სადმე წავიდა საქმიოდ, ყველა რევოლიუციონერების მეთაურია?! ასე რომ ვიანგარიშოთ, მაშინ ხომ ნახევარი ქუთაისი რევოლიუციონერთა მეთაურებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ნახევარი ქუთაისი,—ვისაც კი შეეძლო,—გაიხიზნა ქალაქიდან, რომ ცოლ-შვილი მაინც გადაერჩინა სიკვდილს და გაუპატიურებას.

◆ კვირაობით და პარასკევობით, როდესაც ქუთაისში სოფლებიდან ბევრი ხალხი ჩამოდის, რა გნებავთ, ქუთაისის ბაზარში არ იყიდოთ: ნაბდები, ქამრები, ფეხსაცმელები, სხვა და სხვა მატერიები, საათები, ბეჭდები და ათასგვარი ძვირფასი ნივთი—სულ მუქთად იყიდება. ყველა ეს ნივთები სავაჭროების გადაწვისა და გაძარცვის დროსაა გატაცებული მეომართაგან, რომელნიც სრულიად თავისუფლად ვაჭრობენ, თითქოს თავის საკუთარ საქონელს ჰყიდდნენ. თვალცრემლიანი პატრონები შორი ახლოდან უყურებენ, მაგრამ ვერ გაუბედნიათ უთხრან, ეს ჩემი საქონელია და მომეციო: ეშინიათ, რომ საქონელთან ერთად სიცოცხლესაც არ გამოასალმონ. ხანდისხან თავის საქონელს თვითონვე ყიდულობენ ხოლმე.

◆ ქუთათური საზოგადოება დღე-დღეზე მოელოდა ადგილობრივს საპყრობილეში დატუსაღებულ პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლებას, მაგრამ იმედი გაუცრუვდა; განათავისუფლეს მხოლოდ ფოსტა-ტელეგრაფის სამი მოხელე, ბ-ნნი ვეშაპიძე, ბრეგვაძე და ფრანგულიანცი, ისინიც თავმდებობით, მაგრამ გამოშვებისათანავე დაითხოვეს სამსახურიდან, დანარჩენების განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილი არაფერი ისმის. დღეს ქუთაისში ხმა გავრცელდა, ვითომ ჟანდარმთა პოლკოვნიკს ბრძანება უნდა მოსვლოდეს, რომ პოლიტიკურ დამნაშავეთაგან არავინ განათავისუფლოთ საპყრობილიდანაო.

◆ ქუთაისის მცხოვრებთ ქალაქის გამგეობაში აუარებელი განცხადება შეაქვთ, სადაც აღნიშნულია ის ზარალი, რომელიც მოუვიდათ ამ წლის 9 იანვრიდან ჯარის მიერ სახლებისა და სავაჭროების გატეხისა და გადაწვის დროს. როგორც ჯერ-ჯერობით შეტანილ განცხადებებიდანა სჩანს, დიდი ზარალი მოსვლიათ: კირაკოზოვის, ოჰანოვისა და ამხანაგობის სავაჭრო სახლს, საიდანაც ღამით 26—27 იანვარს გაუტაცნიათ 50,000 მანეთის ფართალი; საბაევისა და ფილიპოვის ჭურჭლეულობის მაღაზიას, საიდანაც გაუტანიათ 20,000 მანეთზე მეტის ნივთები; დანიელ თავდიდიშვილის მაღაზიიდან წაუღიათ 8,000 მანეთის ფართალი; ძმ. ოჰანეზოვის სავაჭრო სახლიდან 7,000 მანეთის ნივთები. განცხადებებში ნათქვამია: რადგან ეს ძარცვა-გლეჯა და აწიოკება მოხდა ქალაქში მშვიდობიანობის დასამყარებლად, რომლის დარღვევაში ჩვენ არასოდეს არავითარი მონაწილეობა არ მიგვიღია და არავის წინაშე დანაშაული არ მიგვიძღვის, ამისათვის გთხოვთ გვიშუამდგომლოთ, სადაც ჯერ არს, რომ ჩვენი ზარალი აღდგენილ იქმნასო.

◆ რადგან შებინდების შემდეგ ქუჩებში გავლა შეუძლებელია, ამის გამო ქალაქის საბჭოს სხდომები დღისით ინიშნება, კვირაუქმე დღეებში. უმახლობლესი სხდომა დანიშნულია 19 თებერვლის დილის 11 საათისათვის.

◆ ამას წინად ქუთაისში დაჭრილი მაზრის უფროსი კელამოვი,—რომლის დაჭრამ ქუთაისის გადაბუგვა და აკლება გამოიწვია,—უკვე განიკურნა ჭრილობისაგან და ტფილისს წავიდა. ამბობენ, კელამოვს ვიცე-გუბერნატორობას მისცემენო.

◆ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა შეაკეთოს არეულობის დროს გაფუჭებული ტელეფონი, რისთვისაც მას 1500 მანეთზე მეტი სჭირდება.

◆ ქუთაისის სასწავლებელში სწავლა ყველგან სწარმოებს, მაგრამ მოწაფეებს სასწავლო ნივთები ვერ უშოვნიათ: ქუთაისში რაც წიგნის მაღაზიები იყო, ზოგი თავლად გახადეს, ზოგი ყაზარმად და ზოგსაც კარები ამოუკეტეს.

◆ ქუთაისის ახლო-მახლო მდებარე სოფლებში სოფლის მოხელეები შეუდგნენ იარაღის შეკრებას, თუმცა ამ სოფლებში მწყერის საკლავი თოფებიც იშვიათად მოიპოვებოდა, მაგრამ ამასაც არ სტოვებენ.

◆ აზრადა აქვთ ქუთაისის პოლიცია გაძლიერონ და სამის ზაბოქაულის ნაცვლად ექვსი დააწესონ. ამის შესახებ პროექტი უკვე შეუმუშავებიათ და წარუდგენიათ დასამტკიცებლად სადაც ჯერ არს.

◆ აქ მთავრობის ზოგიერთ დაწესებულებებში დაიწყო გამოძიება იმის გამოსარკვევად, თუ ვინ იღებდა მონაწილეობას მოხელეთა კავშირებში.

◆ ქუთაისის დაწესებულებებს შინაგან საქმეთა მინისტრისაგან მოუვიდათ ცირკულიარები, რომლითაც მოსამსახურეებს უკრძალავენ კავშირებში და კრებებზე მონაწილეობის მიღებას. „დამნაშავენი“ სამსახურიდან დათხოვნის გარდა პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნიო, ამბობს ცირკულიარი.

◆ იჯარით აღების ნაცვლად ბ-ნი ბ. ბაქრაძე ყიდულობს განსვენებულის ს. თოფურიის საავადმყოფოს. ბანკს შერიგებია 67 ათას მანეთად, ინვენტარის გარდა. ამბობენ შერიგებია კიდეც ვილაც ცნობილ ქირურგს.

◆ გუშინ მოჰკლეს თავის სახლში სოფელ კვალითში გოგასპირ ლეჟავა. საღამოს ხუთ საათზე მისულა ორი შეიარაღებული კაცი და უთხოვნია ღამე გაგვათევინეთო. დიასახლისს მიუღია და შეუტყობინებია განსვენებულისთვის. ცოტა ხნის შემდეგ ისიც მოსულა. მისალმებია სტუმრებს და დამჯდარა თუ არა, ერთს სტუმარს წყალი მოუთხოვნია. გასულა დიასახლისი ოთახიდან, ამ დროს გავარდნილა ხუთჯერ თოფი. მკვლელნი გაქცეულან. ვერც მასპინძელს, ვერც მათ, ვინც გზაში შეხვედრიან, ისინი ვერ უცვნიათ. კვალითი დიდ შიშშია, მიელიან ყაზახებს. ჩამოვიდა ორი აზნაური ალიხანოვთან სათხოვნელად სოფელს ნუ აიხრებთ, იგი არაფერ შუაშიაო. ალიხანოვი აქ არ დახვდათ. ეხლა რა მოელის კვალითს, არავინ იცის.

რუსეთი

დურნოვოს მოწერილობა. გაზ. „რუს“-ს ამოუღია კრაკოვის გაზეთიდან დურნოვოს მიწერილობა გუბერნატორისადმი. ეს მიწერილობა დურნოვოს შიფრიან ტელეგრამმით გაუგზავნია 5 იანვარს. აი თვით მიწერილობა: „დღეს კაგარლიკში, კიევის გუბერნიაში, ჩერტკოვის მამულში, დაიჭირეს აგიტატორი. ბრბო მუქარით თხოულობს აგიტატორის განთავისუფლებას. ადგილობრივი ჯარი საკმაო არ არის; ამიტომ წინადადებას გაძლევთ, როგორც ამ, ისე ყველა სხვა შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ბრძანება გასცეთ ხოლმე მეამბოხეთა იარაღით გაჟლეტის შესახებ. თუ წინააღმდეგობას გასწევენ, მაშინ იმათი სახლები გადასწვით. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო თვითნებობას, დაპატიმრება ეხლა მიზანს ვერ აღწევს. ასობით და ათასობით ხალხის გასამართლება შეუძლებელია. საჭიროა, რომ ჯარი განიმსჭვალოს ზემოაღნიშნულ განმარტებით. პ. დურნოვო“. ეხლა ამგვარი დოკუმენტები მრავალია და რა თქმა უნდა, მომავალი თავის მსჯავრს დასდებს.

გამოძიების საქმე რუსეთში. ეკატერინოსლავში გამომძიებელი ტერავეიჩი, რომელიც ოქტომბრის აკლებების საქმეს იძიებდა და ამ საქმის ბევრი მონაწილეც გამონახა, მოულოდნელად ხარკოვში გადაიყვანეს. არავინ იცის, სად წაიღეს და რა უყვეს ტერავეიჩის მიერ შეკრებილი მასალა.

სტრუვეს სამართალში მიცემა. ჟურნალ „პოლიარნაია ზვეზდა“-ს რედაქტორ-გამომცემელი სტრუვე სამართალში მისცეს 129 მუხლის მე-6 პუნქტის ძალით.

გლეხთა მოძრაობა. პოლტავიდან იტყობინებიან, რომ „გლეხთა კავშირი“ ავრცელებს მაზრაში პროკლამაციებს და უწოდებს გლეხობას, ბოიკოტი გამოუცხადონ სახელმწიფო სათათბიროს. საერობო კრებამ შეადგინა კომისია საგლეხო ბანკის მიერ მიწის შესყიდვის საქმის განსახილველად. კომისიამ დაადგინა, დესეტინაზე 233 მან. 90 კ. და 303 მ. 70 კ.; გლეხებმა კი, რომელნიც კომისიაში იყვნენ მოწვეულნი, ნორმალურ ფასად 200 მანეთი სცნეს დესეტინაზედ.

ვილნოში აგრარული მოძრაობა დასცხრა. სიმფეროპოლში დაარსდა საერობო და გლეხთა კომისსია მემამულეთა და გლეხთა შორის სადავო საკითხების გადასაწყვეტად.

გუბერნატორები აგრარულ კითხვის შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრი დურნოვო შეეკითხა გუბერნატორებს აგრარულ მოძრაობის მიზეზთა შესახებ. ამ ჟამად მინისტრს მიუღია 48 გუბერნატორის პასუხი. უმრავლესობა მიზეზად ასახელებს რევოლიუციონერების აგიტაციას; უმცირესობა კი მიწის სიმცირეს. გუბერნატორები ამბობენ, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ პროვინციაში ხალხს ვერ გაურჩევია, რა არის ნებადართული და რა არა. იმათის აზრით, მხოლოდ დურნოვოს უკანასკნელი ცირკულიარია გარკვეულის მიმართულებისა. ამაში გუბერნატორები სრულიად მართალნი არიან. ამ მხრივ დურნოვოს საყვედური არ ეთქმის.

სახელმწიფო სათამბირო და საპოლიციო ნაწილი. „რუს“-ის სიტყვით, იმ შენობაში, სადაც სახელმწიფო სათათბირო მოთავსდება, მოეწყობა განსაკუთრებული საპოლიციო ნაწილი. ამ საპოლიციო ნაწილის მოწყობა უკვე მიუნდვიათ ერთ ბოქაულისათვის.

პოლიტიკურ პატიმართა და დახურულ გაზეთების რიცხვი. ამ ჟამად, როგორც ამას ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებდა და როგორც ეხლა რუსეთის გაზეთებს გაუგიათ, მთელ რუსეთში 72,000 პოლიტიკური პატიმარია. 15 დეკემბრიდან 25 იანვრამდის რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში დაუხურავთ 78 გაზეთი და ჟურნალი და დაუპატიმრებიათ 58 რედაქტორი. 62 ქალაქში გამოუცხადებიათ სამხედრო, 34-ში გაძლიერებულ დაცვის წესები. ამავ ხნის განმავლობაში პეტერბურგში დაუპატიმრებიათ

თუ იმ ფორმიდან (კაპ. I, 2 რუს. გამ. 285,291). ასეთი განსაზღვრა აუცილებლად საჭიროა. კაპიტალიზმის ნაკლულევანება არ არის მსხვილ წარმოების ნაკლულევანება. თუ სასოფლო მეურნეობაში მოუხერხებელია მსხვილი შეერთებული წარმოება კაპიტალიზმის შემწეობით, შეიძლება, ეს განხორციელდეს ასოციაციების შემწეობით. ყოველ შემთხვევაში კოოპერაცია, შრომისა და საკუთრების გასაზოგადოებრივობა უძლიერესი საშუალებაა ბუნების დასამორჩილებლად და ადამიანის შრომის ნაყოფის გასაფართოვებლად; ხოლო კაპიტალისტური ფორმა ამ გასაზოგადოებრივობისა ხელს უშლის კოოპერაციის ბევრ კარგ თვისების განვითარებას ან აქარწყლებს მათ სარგებლობას თავის ცუდის გავლენით.

კაუცკი ასე გამოსთქვამს თავის საზოგადო დასკვნას მსხვილ სასოფლო მეურნეობის შესახებ: „მსხვილ წარმოებას ტეხნიკური უპირატესობა აქვს სასოფლო მეურნეობის ყველა შესამჩნევ დარგში, თუმცა არა ისეთი, როგორც ინდუსტრიაში“. მსხვილ წარმოებას სოფელში წინ ეღობება სხვა და სხვა დაბრკოლება: „ინდუსტრიაში სახელოსნო—ფაბრიკა ადამიანის ხელის შექმნილია და შეიძლება ისე მოეწყოს, როგორც მოითხოვს მანქანა. სასოფლო მეურნეობაში-კი სახელოსნო მანქანების უმრავლესობისათვის ბუნებისაგანაა მოცემული და მანქანა უნდა შეუფარდდეს მას“. ამგვარად აქ მანქანების შემოღება უფრო ძნელია, ვიდრე ინდუსტრიაში. მეორე დაბრკოლებას კაპიტალიზმისათვის სასოფლო მეურნეობაში წარმოადგენს ის, რომ ნიადაგი, მიწა განსაზღვრულია; არ შეიძლება მიწის გაფართოვება, გადიდება ისე, როგორც საინდუსტრიო კაპიტალისა. „საწარმოვო საშუალებანი ინდუსტრიაში, ამბობს კაუცკი, შეგვიძლია გავადიდოთ, როგორც გვინდა, მაშინ, როდესაც უმთავრესი საწარმოვო საშუალება სასოფლო მეურნეობაში—მიწა განსაზღვრულია.“ ამ გარემოების მნიშვნელობას შემდეგი მაგალითიდან დავინახავთ: როდესაც რომელსამე კაპიტალისტს უნდა დააარსოს, მაგალითად, საჩექმე ქარხანა, საჭირო არაა, რომ წინდაწინ მოსპოს ადგილობრივ ხელოსანი მეჩექმეები (ამათ მერე მოსპობს ქარხანა); მაგრამ თუ კაპიტალისტს უნდა მსხვილი სასოფლო მეურნეობა შემოიღოს, მან ჯერ უნდა მოსპოს წვრილი მიწათმოქმედნი და მერე შეუძლია მოაწყოს თავისი მეურნეობა. შემდეგ, ინდუსტრიაში ნორმალურ პირობის დროს მსხვილი წარმოება ყოველთვის სჯობნის წვრილს; სასოფლო მეურნეობაში-კი მსხვილ წარმოებას საზღვარი აქვს. ინდუსტრიაში წარმოების ყოველი გაფართოვება წარმოადგენს საწარმოვო ძალების კონცენტრაციის გაძლიერებას ყველა იმის სასარგებლო შედეგით (ხარჯის და მასალის ეკონომია, ზედამხედველობის გაადვილება და სხ.). სასოფლო მეურნეობაში კი წარმოების გადიდება, თუ სხვა პირობები იგივე იქნება, ჰნიშნავს ამასთანავე წარმოების გაშლას დიდს მანძილზე, რაც იწვევს მეტ დროს, იარაღის, ძალის, მასალის დაკარგვას და ზედამხედველობის გაძნელებას“. ამგვარადვე მოქმედებს, განაგრძობს კაუცკი, ის საზოგადო კანონი, რომლის ძალითაც „რაც უფრო ინტენსივურია მეურნეობა, მით უფრო ნაკლები ადგილი სჭირია მას წარმოებისათვის „(თუ კაპიტალი იგივე იქნება). ავტორს უნდა ეს კანონი კაპიტალიზმის სასარგებლოდ გამოიყვანოს და ამბობს: თუ ხანდახან მიწათმოქმედების და მიწის მფლობელობის კონცენტრაციის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ დეცენტრალიზაციას, ეს კიდევ არა ნიშნავს წვრილ მეურნეობის გამარჯვებას, რადგან ინტენსიფიკაციის შემწეობით კაპიტალს შეუძლია დაკმაყოფილდეს შედარებით მცირე მიწით და განავითაროს ზედ მსხვილი კაპიტალისტური წარმოებაო. აქ ჩვენს ავტორს ჩვეულებრივ ავიწყდება მოვლენის მეორე მხარე: უეჭველია, ინტენსიფიკაცია აადვილებს მსხვილ კაპიტალურ მეურნეობის შემოღებას, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ინტენსიფიკაციას შეიძლება მოემართოს წვრილმა მეურნეობამაც და იმის შემწეობით უფრო გამაგრდეს.

ყოველ შემთხვევაში კაუცკი კარგად ხედავს, რომ სხვა და სხვა დაბრკოლება ეღობება წინ კაპიტალიზმს სასოფლო მეურნეობაში. ამიტომ უნდა, როგორმე საშუალება გამოუნახოს კაპიტალიზმს ამ დაბრკოლებათა დასაძლევად. ასეთ საშუალებად მიაჩნია იპოტეკა და ლატიფუნდია. „მაშინ როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ძლივს მოსჩანს ცენტრალიზაცია და ხშირად წინააღმდეგსაც ვხედავთ—დეცენტრალიზაციის ტენდენციას, ამბობს კაუცკი: მიწის საკუთრებაში ძლიერ გაბატონებულია ცენტრალიზაციის ტენდენცია, რომელიც მეტად აშკარად გამოიხატება იპოტეკურ საკუთრებაში“, ე. ი. ავტორს უნდა სთქვას: დაგირავებულ დავალიანებულ მამულების პატრონები მხოლოდ სახელით არიან მესაკუთრენი, ნამდვილი უფლება და სარგებლობა-კი გადადის კრედიტორების ხელში. გარდა ამისა, განაგრძობს ავტორი: რადგან მსხვილი მეურნეობა ყოველთვის არაა მოსახერხებელი და მეურნეობის ცენტრალიზაცია ძნელია, ამიტომ არსდება ახალი სამეურნეო ფორმა-ლატიფუნდია, რომელიც ნიშნავს რამდენისამე მეურნეობის ერთის ხელში გადასვლას, მიუხედავად იმისა, ეს მეურნეობანი ერთს ადგილზეა მოწყობილი, თუ სხვა და სხვა ადგილას არის გაფანტული. „მიწის ამგვარ ცენტრალიზაციის დროს, როგორც იპოტეკის ცენტრალიზაციის დროსაც, ცალკე მეურნეობათა სიდიდე უცვლელად რჩება. მაგრამ აქ საკუთრების ცენტრალიზაციასთან ერთად ხდება მართვა-გამგეობის ცენტრალიზაციაც. ამრიგად დაარსებული ლატიფუნდია—და არა ერთის ეკონომიის უსაზღვრო გაფართოვება—არის ის ფორმა, რომელშიაც ვითარდება თანამედროვე უზარმაზარი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, და ამ ფორმას არ უჩანს საზღვარი ისე, როგორც არ უჩანს საზღვარი კაპიტალის ცენტრალიზაციას“. კაუცკის ვერ შეუნიშნავს, რომ ასეთ ცენტრალიზაციის და კონცენტრაციის დროს კაპიტალიზმის ფორმა სრულიად სპობს კაპიტალიზმის შინაარსს. როდესაც ადგილი დაგირავებულია, კრედიტორი მოსვენებულად სცხოვრობს, თავის ფულის სარგებელს ღებულობს, მას საქმე არა აქვს იმასთან, თუ როგორ და რა წარმოებაა მოწყობილი დაგირავებულ მიწაზე, იმისათვის ასეთი ჩარჩული მდგომარეობა საუკეთესო კაპიტალისტური ფორმაა სხვის გასაყვლეფად, მაგრამ ქვეყნისათვის, წარმოებისათვის ასეთს კაპიტალიზმს მოაქვს თუ არა რამე სარგებლობა? სად არის აქ კაპიტალიზმის, ცენტრალიზაციის შემოქმედებითი ძალა, იმისი ისტორიული მისია? რაც შეეხება ლატიფუნდიას, ის მხოლოდ გარეგნული შეერთება, ზეზეური ცენტრალიზაცია. რამდენიმე მამული ერთდება, მაგრამ მარტო იმ მხრივ, რომ ყველას შემოსავალი ჩადის ერთ ჯიბეში, ხოლო სამეურნეო სტრუქტურა რჩება იგივე, რამდენიმე მეურნეობა არ ხდება ერთ მეურნეობად. თვითონ წარმოებაზე, მუშებზე არავითარი გავლენა არა აქვს ამგვარ შეერთებას. აქაც ჩვენ ვხედავთ მხოლოდ კაპიტალისტურ ექსპლოატაციას, რომელსაც თან არ ახლავს კაპიტალისტური წარმოება.

მაინც კაუცკის, როგორც მარქსისტს, არ შეეძლო არ შეენიშნა ზოგი ცუდი თვისება კაპიტალიზმისა სასოფლო მეურნეობაში. იგი აღიარებს, რომ კაპიტალისტურ რეჟიმის დროს სოფელი იყვლიფება ქალაქისაგან: იპოტეკურ ვალების სარგებელი, მემამულეების რენტა, გადასახადები სოფლიდან მიდის ქალაქში და იხარჯება იქ; ამგვარივე გავლენა აქვს სხვა და სხვა ხელოსნობის და ხელ-საქმის მოსპობას სოფელში; მერე — კაპიტალისტურ მეურნეობის გამო მიწა ჰკარგავს ბევრს სასარგებლო ნივთიერებას, რომელიც ნაყოფის სახით მიდის ქალაქში და აღარ უბრუნდება სოფელს. კაუცკი აღიარებს აგრეთვე, მარქსთან ერთად, რომ რენტა დიდათ აფერხებს სასოფლო მეურნეობას; მართალია, რენტას იხდის მრეწველიც, მაგრამ აქ იგი სულ მცირე ნაწილს შეადგენს, სასოფლო მეურნეობაში კი რენტა შეადგენს დახარჯულ ფულის უმთავრეს ნაწილს, და ეს იწვევს მეურნეობის დავალიანებას. ანალოგიურ დაბრკოლებას წარმოადგენს მემკვიდრეობის უფლებაც: ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ამნაირი დილემაა დაყენებული—ან მამული უნდა დაუნაწილდეს ყველა შვილებს, დაიქსაქსოს, ან მიეცეს ერთს შვილს და დაედოს ზედ ვალი სხვა შვილების სასარგებლოდ. ავტორი აღნიშნავს იმ გავლენასაც, რომელიც აქვს ამერიკის პურს ევროპის მეურნეობაზე; ამის წინააღმდეგ იგი ვერავითარ საშუალებას ვერა ხედავს; შეიძლება მფარველობით ბაჟებს მივმართოთ, „მაგრამ ეს დაეხმარებოდა არა მიწათმოქმედებს, არამედ მიწის მფლობელობას“, პურის ფასი აიწევდა და ზედმეტს ფასს მიითვისებდა რენტა.

კიდევ უფრო დამაბრკოლებელია მსხვილ მიწათმოქმედებისა მუშათა საკითხი, ის, რომ მუშები გარბიან ქალაქში და სოფლის მეურნეობას არ ჰყოფნის მუშა ხელი. კაუცკი დიდ მნიშვნელობას აძლევს ამას; პირდაპირ ამბობს, რომ ქალაქი სძარცვავს სოფელს, უფრო ენერგიულ და ინტელიგენტურ მუშებს იზიდავს ქალაქი და თუ კარგი მუშები არ ეყოლება, ისე ვერ განვითარდება ვერც ერთი კაპიტალისტური სასოფლო მეურნეობა. სასოფლო მეურნეობაში მუშებს განსხვავებული ადგილი უჭირავთ, აქ მუშა არ არის პირადად თავისუფალი, როგორც ინდუსტრიაში; აქ არ არის ისე, როგორც მრეწველობაში, სადაც მუშა თავის სამუშაოს გარედ სრულიად თავისუფალია. მუშა ან სავსებით ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო ეკონომიას, ან—უმრავლეს შემთხვევაში—იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი მეურნე, რომელსაც არა ჰყოფნის საკუთარ მეურნეობის შემოსავალი, და იძულებულია გარედ ეძიოს დამატებითი სამუშაო. ეს განუშორებლობა საკუთარ მეურნეობისა და გარეშე წარმოებისა ერთი მიზეზთაგანია იმისა, რომ წვრილი მეურნეობა ადვილად არ ისპობა. მეორეს მხრით, თვითონ სასოფლო-სამეურნეო კაპიტალიზმი დაინტერესებულია წვრილ მეურნეობის არსებობაში. თუ გლეხებმა სრულიად დაჰკარგეს მიწა, მაშინ ისინი ქალაქში გარბიან, რადგან სოფელში ვერ შოულობენ სამუდამო სამუშაოს, და კაპიტალისტური მიწათ-მოქმედება რჩება უმუშაოდ. ამიტომ წვრილ მესაკუთრეების შემცირებას თავისი საზღვარი აქვს, რომლის იქითაც მისი (შემცირების) გაგრძელება მავნებელია თვითონ კაპიტალიზმისათვის, კაპიტალიზმი სუსტდება. ეს იწვევს წვრილ მეურნეების და მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო მუშების ხელახალ გამრავლებას, რომელსაც თან მოსდევს წვრილ მეურნეობის შემცირება, მაშასადამე, მუშების შემცირებაც; ეს კიდევ მიზეზია კაპიტალიზმის შესუსტებისა, და ასე, როგორც ვხედავთ, კაპიტალიზმი და წვრილი მეურნეობა ერთი მეორისაგან დამოკიდებულია. ამ რიგად, ამბობს კაუცკი: „კაპიტალის-

1,715 კაცი; 17 ქალაქის საპყრობილეები იმდენად გაჭედილია, რომ პატიმართა ერთი ნაწილი საპოლიციო ნაწილებშია მოთავსებული. პოლონურ გაზეთების სიტყვით, ვარშავაში დეკემბრის განმავლობაში დაუპატიმრებიათ 9798 კაცი.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

18 თებერვალი

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭომ 5,00,000 მანეთამდე შეამცირა ჯამი იმ ფულისა, რომელიც სამხედრო მინისტრის კანონ-პროექტით კაზაკების ოჯახობის სასარგებლოდ უნდა გადადებულიყო.

„სლოვო“ იუწყება, ამბობენ, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ორს დამოუკიდებელ სამმართველოდ აკეთებენ. ერთი იქნება ვაჭრობისა და მეორე მრეწველობის სამმართველო.—თურმე „რუსკოე გოსუდარსტვო“-ს 600,000 მან. არ ჰყოფნის სუბსიდიათ და ამიტომ გადაუწყვეტიათ 100,000 მან. კიდევ მიუმატონ. „ნაშა ჟიზნ“-ის ცნობით, მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილი აქვს აგრარულ საკითხის გადაჭრასთან ერთად შეიმუშაოს საერობო უფროსთა ინსტიტუტის გაუქმების პროექტი და შემოიღოს ყველგან მთელს სახელმწიფოში ერთნაირი ერობა.

როგორც გაზეთი „რუს“-ი იუწყება, სახელმწიფო საბჭოში განიხილეს საერო განათლების მინისტრის პროექტი შესახებ ადგილობრივ ენების სწავლებისა. საბჭომ დაადგინა, შემოღებულ იქნას ადგილობრივ ენებზე სწავლება კერძო პირებისა, წოდებრივსა და საზოგადოებრივ სასწავლებლებში. ვისაც მთავრობის სასწავლებლების უფლების მიღება ესურვება, მან ეგზამენები უნდა ჩააბაროს მთავრობის სასწავლებელში რუსულ ენაზე. გადაწყვიტეს აგრეთვე დაარსონ ვარშავის უნივერსიტეტში პოლონურ ლიტერატურისა და პოლონურ ენის კათედრები პოლონურად სწავლებით.

ოჩაკოვი. 17 თებერვალი დილის 11 საათზე ბრალდებულთ დაასრულეს თავიანთი უკანასკნელი სიტყვები. რეზოლიუცია გამოცხადებულ იქნება 19 თებერვალს დილის 9 საათზე. ტრაგიზმითაა აღსავსე შმიდტის თავის შვილთან გამოთხოვების სცენა. შმიდტის შვილი, ევგენი, 17 თებერვალს უნდა წასულიყო აქედან მამის თხოვნით. გამოთხოვება კაზემატში მოხდა. მამაშვილი ჯერ დივანზე ისხდნენ და ერთმანეთს უცქეროდნენ, მამის სახე გაბრწყინებული, მოხარული, შვილს სახეზე მწუხარება და სიმშვიდე აქვს აღბეჭდილი. „იცი, ჩემო კარგო, კეთილო მეგობარო, შენ უნდა მოკვდე. გიცქერ და ვერ მივმხვდარვარ. ჩემის ფიქრით ეს ასე არ უნდა იყოს. მე შემიძლია გნახო შენ მკვდარი, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, რომ შენ, ცოცხალი ადამიანი უნდა მოკვდე. აი უნდა გამოგეთხოვო და არ-კი ვიცი რა გითხრა. დღემდე ხომ გამოთხოვებისას „ნახვამდის“-ო ვეუბნებოდით ერთმანეთს, ეხლა-კი ამისი თქმა აღარ შეიძლება. . ვერაფერი ვერ გამიგია“.— „მე-კი მესმის ყველაფერი,—უთხრა მამამ შვილს, მე მესმის, რომ მე და შენ ახლა მიწაზედ-კი არა ვართ, არამედ იქ, მაღლა ზევით სადღაცა. დიდათ ბედნიერი ვარ, რომ შენ მტკიცეთა ხარ და სული არ გეცემა… მეშინიან, გემზე არ დაიგვიანო… მოდი და გაიგე შენ ადამიანის სული, სიცოცხლე და სიკვდილი რა დიდებული, გაუგებარი შეფარდებაა. არ დაიგვიანო, გასწი ჩემო საყვარელო ბიჭო“!.. შმიდტი მოეხვია და გულში ქანქალით ჩაიკრა შვილი. შენ უკვე დიდი ხარ,—უთხრა მამამ შვილს,—შეგიძლია შენი შრომით იცხოვრო. წადი, გასწი, ჟენია, მაგრამ არ დაგავიწყდეს საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლება—აი ჩემი მემკვიდრეობა“.—შვილი გამოვიდა კაზემატიდან და როცა ქუჩაში იყო უკვე გასული, პეტრე პეტრეს ძემ მიირბინა ფანჯარასთან და ფანჯარაში ცქერა დაუწყო შვილს.—„რაც ყველაზე საშიში იყო, უკვე გათავდა“—უთხრა მან დამსწრეთ.

რიგა. დღის 5 საათზე ფელგერის ქარხნის კანტორაში 20 შეიარაღებული კაცი შეიჭრა, იარაღი აჰყარეს მოსამსახურეთ, კარი ჩაუკეტეს დირექტორს, წაიღეს 4,161 მან. ქაღალდის ფული, 3,150 მან. ოქრო ვერცხლისა, აუარებელი ჩეკი ხელმოწერილი და გაიქცნენ. გზაზე აბანოში მიმავალ უიარაღო სალდათებს შეეფეთნენ, რომელთაც დაიჭირეს სამი მძარცველი ერთს დაჭერილთაგანს აღმოაჩნდა 530 მან. და „ბრაუნინგ“-ი. იგი გამოტყდა მძარცველობაში. ერთი სალდათი დაიჭრა ორივე ფეხში, მეორეს ხელი გაუხვრიტა ტყვიამ.

ვარშავა. პოლიტიკური მკვლელობა არ სწყდება. პრაგაზე სროლა მოხდა მუშებს და ორ ჯგუფს შორის. ერთი დაიჭირეს სალდათებმა და გოროდოვოებმა ხანგრძლივ პირისპირ სროლის შემდეგ. იგი აღმოჩნდა ფაბრიკა „ვულკან“-ის მუშა,—ოთხი ბოროტ-განმზრახველი დაეცა როტშილდის ფაბრიკას და ფულები მოითხოვეს, მაგრამ სამხედრო ექიმის დანახვაზე გაიქცნენ; წინ აფიცერი შეეჯახათ, რომელმაც უბრძანა გაჩერებულიყვნენ. დაიჭირეს ორი სალდათების შემწეობით, რომელნიც ფაბრიკის მუშები აღმოჩნდა.

ტოკიო. პეკინიდან იუწყებიან, გერმანელებმა დიდი ზარბაზნები მოიტანეს ტიანცზინიდან გერმანიის მისიის დასაცველად. ხმებია, რომ 500 რევოლიუციონერი აპირებს პეკინში შეჭრასო. ქალაქში შეიარაღებულ ჟანდარმთა პატრულები დადიან.

ოჩაკოვი. შმიდტს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს, კონდუქტორ ჩასტნიკისა, კამანდირ ანტონენკოსა და მემანქანე გლადკოვს ჩამოხრჩობა, 10 მატროსი გაამართლეს; დანარჩენ ბრალდებულთ გადაუწყვიტეს კატორგა და ტუსაღობა როტა სხვა და სხვა ვადით.

ბაქო. გაიხსნა ნავთის მრეწველთა სწრაფი კრება.

ვენა. ედუარდი და ვილჰელმი მხოლოდ მაშინ ინახულებენ ერთმანეთს, თუ ალჟესირასის კონფერენცია დააკმაყოფილებს ორსავე მოდავე მხარეს გერმანიასაცა და საფრანგეთს.

პეტერბურგი. ხელმწიფემ შემდეგის სიტყვით მიმართა ივანოვო-ვოზნესენსკის (ვლადიმირის გუბერნ.) მონარქიულ პარტიის დეპუტაციას, 16 თებერვალს: მე ვიცი და ვაფასებ თქვენს გრძნობებს. სულით და გულით გმადლობთ თქვენა და მთელს მონარქიულ-თვითმპყრობელურ პარტიას. გადაეცით ყველა თქვენ გამომგზავნთ, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტში აღნიშნული რეფორმები შეუცვლელად იქნება განხორციელებული და ხელუხლებელი იქნება ყველა ის უფლებები, რომელიც მე მივეცი ყველა და მცხოვრებთ ერთნაირად; რაც ჩემს თვითმპყრობელობას შეეხება, იგი ისეთივე დარჩება, როგორიც იყო ძველად. მადლობელი ვარ თქვენი ერთგულებისათვის.

19 თებერვალი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა მიიღო ჰესენი, კარეევი და მილიუკოვი, რომელნიც კონ.-დემოკრატების პარტიის დევნის საკითხის გამოსაკვლევად მივიდნენ მინისტრთან. მინისტრმა უთხრა, რომ რადგანაც ჯერ არაა კანონი გამოცემული კრებების შესახებ, ამიტომ მან განკარგულება მოახდინა, რომ საჯარო კრებებს პოლიცია ესწრებოდეს. როცა ხსენებულმა პირებმა უთხრეს მინისტრს, რომ საარჩევნო კრებებს პოლიცია არ უნდა ესწრებოდესო, მან უპასუხა, რომ ეს მხოლოდ მაშინ როცა სათათბიროს წევრებს აირჩევენო. რაც თქვენ რაიონულ კრებების დახურვას შეეხება, ეს პოლიციელების მოხსენებით მოხდა, რომლების არ დაჯერება არ შემიძლიანო. ამ კრებებზე მგრძნობარე სიტყვებს ამბობდით თურმე, რათა გავლენა გქონოდათ მუშებზე, ტყუილია ის ხმები, ვითომც მე მტერი ვიყო რომელიმე პარტიისა, მე ყველას ერთნაირად ვეპყრობი და არავისი დაჭერა არ შეიძლება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ამა თუ იმ პარტიის წევრია. მოველაპარაკები გრადონაჩალნიკს და მხოლოდ შემდეგ შემიძლია ნება მოგცეთ რაიონულ კრებებისაო.—გამოვიდა გაზეთი „სტრანა“.

ოჩაკოვი. ბრალდებულთ დამშვიდებით მოისმინეს განაჩენი. სხდომა საღამოს 11 საათზე დაიხურა. შმიდტს ნება მისცეს ენახა თავისი და იზმაილოვა და ქ-ნი რიზბერგი. ყველა ბრალდებულნი სასამართლოდან გადაიყვანეს გაძლიერებულ დაცვის ქვეშ ტრანსპორტ „პრუტ“-ზე, სადაც ისინი განაჩენის საბოლოოდ გამოცხადებას უნდა მოელოდონ. დამცველები ასაჩივრებენ განაჩენს.

ლონდონი. გაზეთი „ტრიბუნა“ ერთხელ კიდევ აცხადებს პროტესტს რუს ემიგრანტებისთვის ინგლისში შესვლის აკრძალვის წინააღმდეგ.—გუშინ მთავრობამ მოიწონა კანონ-პროექტი, რომელიც პარლამენტს წარუდგინეს მუშებმა და რომელიც ღარიბ ბავშვებისთვის სკოლებში საჭმლის მიცემას შეეხება.

კიევი. პოდპორუჩიკ ზემმარაკეცის ბინაზე შევარდნენ უცნობნი, დენშჩიკი დასჭრეს, წაიღეს 7 კოლოფი პატრონი და მიიმალნენ ისე, რომ ფულისთვის არც კი უხლიათ ხელი.— უნივერსიტეტში 734 ქალმა წარმოადგინა თხოვნა, მეტი წილი ებრაელია.

ჰელსინგფორსი. „უუსი სუომეტარ“-ის სიტყვით ფინლიანდიის სენატის პეჭდის რუსული ტექსტი ლათინურზე შესცვალეს.

ვარშავა. ყველა საარჩევნო ნაწილში მიიღეს ზომები სათათბიროს მებოიკოტეთაგან თავდასხმის წინააღმდეგ. დამცველად დაქირავებული კაცები არიან. საარჩევნო სიებს რკინის კასებში ინახავენ.

გუშინ ობსტბაუმანის ფაბრიკაში შეიჭრა 10 შეიარაღებული კაცი, მეკასეს წაართვეს 250 მან. და გაიქცნენ, დასჭრეს რა ერთი მდევართაგანი.

კოვნო. ვერჟბოლოვოში დაიჭირეს ბოროტ-გამზრახველი, რომელმაც ჟანდარმთა უნტერაფიცრის მოკვლა განიზრახა.

პლოცკი. სცენის ქვეშ თეატრში, სადაც სათათბირო წევრების ამომრჩეველთ ჰქონდათ წინასწარი კრება, ბომბა იპოვნეს.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

18 თებერვალი

ლონდონი. ინგლისის გემის შესვლას სპარსეთის ყურეში არავითარი საფრთხე არ მოსდევს. ბრიტანეთის გემები ყოველთვის შედიოდნენ ყურეში დროგამოშვებით.—13 თებერვალს მოაწერეს ხელი შეთანხმებას ინგლისსა და საფრანგეთს შორის ყველა სადავო საკითხების გადაწყვეტის შესახებ ახალმემბრიჯის კუნძულების მართვა-გამგეობაში.

ასხაბადი. პრესის სიტყვით, შავი ჭირი სეისტანში ისევ მძვინვარებს. ხოჯულში 100% კვდება, დანარჩენ ადგილებში 94%.

პეტერბურგი. „დაკანონებათა კრებულში“ გამოქვეყნებულია ხელშეკრულობა რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის შორის.

ელისავეტგრადი. წყალ-დიდობამ ძლიერ დააზარალა განაპირაზე მცხოვრები ღარიბი ხალხი. წყალი კლებულობს, მაგრამ სახლები ჯერ კიდევ წყალშია. დიდი გაჭირებაა.

სტამბოლი, 18 თებერვალი. პეკინში აჯანყდნენ არნაუტები. შეტაკებაა ჯართან, რომელიც 5½ მილიონამდე ადის.

პორტ-სმუტი, 18 თებერვალი. მეფე დილით შერბურგს გაემგზავრა.

ლონდონი. ლორდ-მერმა გახსნა ხელის მოწერა იაპონიის დამშეულ მცხოვრებთა სასარგებლოდ.

ლონდონი. გარეშე საქმეთა მინისტრი გავიდა სამსახურიდან, რადგან იგი ვერ შეეთანხმა დანარჩენ წევრებს რუს-ემიგრანტების შესახებ გამოცემულ კანონის განხორციელების საქმეში. ამ კანონის ძალით რუსეთი დეზერტირი არ უშვებს ინგლისის მიწა-წყალზე, თუმცა-და დადგენილი იყო, რომ ეს კანონი არ უნდა გავრცელებულიყო პოლიტიკურ დეზერტირებზე და ნება უნდა დაერთო გამოქცეულ ქალებისათვის შეერთებოდნენ ინგლისში მყოფ ნათესავებს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიდან გაქცეულმა პოლიტიკურ საქმეში დამნაშავე სალდათებმა გარდაწყვეტილი ხუთი გირვანქა სტერლინგი წარადგინეს, ისინი მაინც არ დაუშვეს ინგლისის მიწა-წყალზე.

კოზლოვი. გაანთავისუფლეს ციხიდან 17 პოლიტიკური დამნაშავე, მათ რიცხვში „კოზლოვსკი გაზეტა“-ს რედაქტორიც. გაზეთი ჩქარა დაიწყებს გამოსვლას.

ნიუ-იორკი. გემ „პენსილვანი“-ით მოვიდა რუსის 2,000 ემიგრანტი.

ლვოვი, უნივერსიტეტში ჩამოვარდა სიმშვიდე, რადგანაც საქმეში რექტორი და პროფესორები ჩაერივნენ.

რიგა. საღამოს შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველნი დაეცნენ დრეინფლინგბუშის მიზას. წაიღეს რამდენიმე ასი მანათი. ორი ბოროტ-გამზრახველი დაიჭირეს. დღეს დაიჭირეს აგრეთვე მუშა, რომელიც დეკემბერში დაეცა თავს, სხვა ამხანაგებთან ერთად, გოროდოვოის და წაართვა რევოლვერი და ხმალი.

ხარკოვი. საღამოთი ქალაქის სამმართველოში შევიდა სამი უცნობი პირი, შეიარაღებულნი რევოლვერებით, მოიპარეს დამზადებული საარჩევნო სიები და მიიმალნენ. ახალი სიების შედგენა მოითხოვს 10 დღეს, სულ რომ ცოტა ვთქვათ. მცვლები დაუყენეს იმ შენობას, სადაც სიებია შენახული.

პარიზი. დეპუტატის პალატაში კამათის დროს შეტაკება მოხდა ჟორესსა და თორეს შორის. უკანასკნელმა პირველს ცბიერი უწოდა, ჟორესმა-კი სალოდავი, საზიზღარი იეზუიტი დაუძახა პასუხად. ორივემ სეკუნდანტები აირჩიეს, მაგრამ ამათ ვერა ნახეს ისეთი რამ, რაც დუელის საჭიროებას ითხოვდეს.

ხარკოვი. 10 დღით ჩასვეს ციხეში უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის დეკანი და გაზეთ „მირ“-ის ფაქტიური რედაქტორი.

ვორონეჟი. დისციპლინარნი ბატალიონის სალდათების საქმეზე ჩვენების ჩამორთმევა გათავდა. მათმა ჩვენებამ აღმოაჩინა, რომ აჯანყების დროს, როცა ციხეზე გაუმტვრევიათ და თოფები და პატრონები წაუღიათ, ამათ უსროლიათ, მოუკლავთ ორი კაცი და დაუჭრიათ 16. 55 ბრალდებულში 10 ყველაზე დიდი ბრალი ედება.

სიმბირსკი. ჯარის უფროსი მადლობას უცხადებს ჯარსა და აფიცრებს, სოფლებში არეულობის მოხერხებულათა და სწრაფად ჩაქრობისთვის.

კალუგა, 18 თებერვალი. დაიხურა ბელგიის საზოგადოების თუჯის ქარხანა ტარუსის მაზრაში, რადგანაც შეუძლებელი შეიქნა წესიერად თუჯის მიღება და მეტად აიწია სამუშაო ქირამ.

ოდესა, 18 თებერვალი. სამხედრო სასამართლომ დამნაშავედ სცნო აზნაური მეტკელევიჩი და ზოლოტარევი ქუჩაზე არსებულ წეს-წყობილების საწინააღმდეგო სიტყვის წარმოთქმისთვის და 16 თვით დატუსაღება გადაუწყვიტა.

ბათუმი. ნავთის მილი გაასწორეს და ხელახლა დაიწყო მუშაობა.

სტარო-კონსტანტინოვი. აკრატინსკი ვოლოსტის სოფ. პაჩინცაში გლეხები დაეცნენ მემამულის ეკონომიას და განადგურებას უპირებდენ, მაგრამ გაფანტულ იქნენ საერობო დარაჯების მიერ.

ლონდონი. ჟურნ. „სტატისტი“ ამბობს, თუ საფრანგეთისა და გერმანიის დავა მაროკოს შესახებ მშვიდობიანად გათავდება და რუსეთი შესძლებს შინაურ არეულობის ჩაქრობას, იმ შემთხვევაში რუსეთს შეუძლია დიდი სესხი იშოვნოს პარიზში. საფრანგეთს დასაბუთებული მიზეზები აქვს დაეხმაროს რუსეთს და აღადგინოს მისი ავტორიტეტი ევროპაში. გაზეთი დარწმუნებულია, რომ რუსეთი იშოვნის სესხს, თუ იგი შესძლებს მშვიდობიანობის ჩამოგდებას სახელმწიფოში.

პეტერბურგი, 14 თებერვალი. უმართებულესმა სენატმა დაამტკიცა ადესის სამოსამართლო პალატის განაჩენი, რომლითაც 48 გლეხს ტუსაღთა განყოფილებებში დამწყვდევა გადაუწყვიტეს სხვა და სხვა ვადით. ამათ მემამულეების დაწიოკება ედებოდათ ბრალად.—გზათა მინისტრმა ტელეგრაფით უბრძანა ყველა გზების უფროსებს, ყოველი ღონისძიება იხმარონ შეგროვილ ტვირთების დანიშნულებისამებრ გასაგზავნად.

იუზოვკა. დაიჭირეს კომივი, რომელმაც ყაზანის ღვთის მშობლის ხატი მოიპარა და რომელსაც 10 წლის კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი.

ეკატერინოსლავი. გენ.-გუბერნატორმა დახურა მარიუპოლში სახალხო მასწავლებელთა საზოგადოება.—მადლევის მადაზიიდან ბოროტგამზრახველებმა 600 მან. მოიპარეს.

პეტერბურგი. ოფიციალური. მინისტრთა საბჭომ 17 თებერვლის სხდომაზე საბოლოოდ გადასწყვიტა აგრარულ საკითხის გამოსარკვევად დაარსდეს გუბერნიებსა და მაზრებში კომისიები, რომლებშიაც შევლენ როგორც მთავრობისაგან დანიშნული, ისე ერობათა და გლეხების წარმომადგენელი პირები. კომისიის მახლობელი მიზანია, დახმარება გაუწიოს ადგილობრივ საგლეხო სათავად-მამულო ბანკს. რაც ადმინისტრატიულად დატუსაღებულებს შეეხება, საჭიროდ იქნა ცნობილი, მათი საქმე ჩქარა წყდებოდეს.

რიგა. დროებითმა სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა ერთს გლეხს, რომელმაც ერთი კაზაკი დასჭრა და მეორე მოჰკლა.

ხარბინი. გაზეთი „ხარბინსკი ლისტოკ“-ი დახურეს. დახურეს აგრეთვე მის მაგიერ გამოსული „მანჯურია“-ც. რკინის გზაზე წესიერი მიმოსვლა დაირღვა. საქონელი აღარ მიდის. ექსპრესი და საფოსტო მატარებლები გაუქმებულ იქნა. საწვავი მასალა სრულიად გამოილია. სახელოსნოები და დეპო ძლივს-ღა მუშაობენ. იანვარში 30 წევრი დაიჭირეს გაფიცვის კომიტეტისა. ჩქარა სამხედრო სასამართლო გაარჩევს საქმეს. სათადარიგო ჯარის კაცების გაგზავნა ძლიერ ფერხდება. გროდეკოვი შტატს ამცირებს და აუქმებს მეტს დაწესებულებას. მისი სამმართველო ხარბინშია.

სან-ფრანცისკო. გემი „მარიპოზა“ იუწყება, 25 სა და 26 იანვარს ამხანაგობის კუნძულებზე საშინელი ქარიშხალი იყო. დაინგრა სანაპირო ქალაქი პაპეტი კუნძულ ტაიტიზე დაინგრა 75 სახლი, მათ რიცხვში ამერიკის საკონსულოს შენობა და საფრანგეთის მთავრობის დაწესებულებანი. ბევრი ხალხი დაიღუპა, ალბად. დაზიანდა აგრეთვე სხვა კუნძულები.

კიევი. „სვობოდა ი ნაროდ“-ის რედაქტორი ლუჩიცკი პასუხის გებაში მისცეს 129 მუხ. ძალით.

პეტერბურგი. გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო საბჭო 15 მარტს შესწყვეტავს არსებულ წესებში თავის მოქმედებას და 27 მარტს გახსნის პირველ სესიას განახლების შემდეგ. მონაწილენი იქნებიან 98 არჩეული და 98 დანიშნული წევრი.

ეკატერინოსლავი. რკინის გზის ხიდზე მძიმედ დასჭრეს მარტელე, რომელსაც ფული მიჰქონდა მუშებისთვის. წაიღეს 9,000 მან. და მიიმალნენ.

პარიზი. მოვიდა მეფე ედუარდი, რომელსაც რუვიე, ფალიერი და ბრიტანეთის ელჩი მიეგებნენ.

პეტერბურგი. მინისტრი ტიმირიაზევი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან მისივე თხოვნით.

ადესა. სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე კირილოვისა, ელენე ნაიდასი და პეტრე დავიდოვისა, რომელთაც გენერლებ კახანოვისა, ყარანგოზოვისა და ნეიდგარდტის მოკვლის განზრახვა ედებოდათ ბრალად. სასამართლომ კირილოვს და დავიდოვს ორი წლის კატორღა გადაუწყვიტა, ნაიდა გამართლებულ იქნა.

ალჟესირასი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ კონფერენციამ მიიღო ბანკის მოწყობის შესახებ წარდგენილ პროექტის მუხლი.

კიევი. დაბა დემიევკაში ფოსტის კანტორას დაეცა 8 შეიარაღებული ინტელიგენტი და წაიღეს 8,000 მან.

ასხაბადი. „ვესტნიკ ასხაბადსკი“-ს აუწყებენ მეშედიდან, რომ ამ ერთის თვის წინად იქ ერთი ბაქოელი თათარი მოჰკლეს. კავკასელ შიიტებს სისხლის აღება სწყურიათ. ხვალ უნდათ დაეცნენ მკვლელებს და დაჰხოცონ. დიდს ხოცვა-ჟლეტას მოელიან. სომხები გარბიან თავზარდაცემულები.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი.**

ტურ წარმოების დროს არ უნდა მოველოდეთ როგორც წვრილ წარმოების მოსპობას მსხვილისაგან, ისე მსხვილის მოსპობა წვრილისაგან“. როგორ არა ჰგავს ეს ერფურტის პროგრამას, რომელიც წინასწარმეტყველობდა წვრილ წარმოების სრულს მოსპობას!

მაგრამ არ იფიქროთ, რომ კაუცკიმ აქ რამე დაუთმო პირდაპირ და აშკარად თავის მოწინააღმდეგეებს. მართალია, გვეუბნება, შეუძლებელია, „რომ თანამედროვე საზოგადოებაში მოისპოს წვრილი მიწის მფლობელობა“, მაგრამ ეს იმიტომ, რომ თვითონ მსხვილი მეურნეობა სცდილობს დაიცვას წვრილი და თუ წვრილი მიწათ-მოქმედება არსებობს, იმიტომ, რომ აღარ ძალუძს კონკურენცია გაუწიოს მსხვილ კაპიტალისტურ მიწათ-მოქმედებას. კაუცკის აზრით, ბოლოს და ბოლოს ყოველთვის მართალია დოგმა; მართალია აქაც. მართალია კი? რასაც ავტორი ამბობს, შეგვიძლია შევაბრუნოთ და სხვანაირადაც გამოვთქვათ: როდესაც განსაზღვრულ განვითარებას მიაღწევს მსხვილი კაპიტალისტური წარმოება, მას არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს წვრილს, პირიქით, წვრილი მეურნეობა აუცილებლად საჭიროა იმის არსებობისთვის. გამოდის, რომ მსხვილ წარმოებას ესაჭიროება წვრილი და არა წვრილ წარმოებას—მსხვილი. მაშ ვინა ყოფილა უფრო მოკლებული ცხოველმყოფელობას? რასაკვირველია, არა გლეხობა, არამედ სასოფლო-სამეურნეო კაპიტალიზმი. მერე ისიც ვკითხოთ კაუცკის: თუ კაპიტალიზმმა იმის მაგიერ, რომ მოსპოს წვრილი მეურნეობა—ეს წყარო ინდივიდუალიზმისა, ხელი უნდა შეუწყოს მის არსებობას, სადღაა კაპიტალიზმის ისტორიული მისია? როგორღა უნდა გაწმინდოს მან გლეხი პროლეტარულ მდგომარეობის შემწეობით? ან როგორ შეუთანხმოთ კაპიტალიზმის შემოქმედება კაუცკისავე სიტყვებს, რომ „კაპიტალისტური განვითარება სხვანაირად მოქმედებს სოფელში, ვიდრე ქალაქში. აქ ის არ აერთებს ადამიანებს, არამედ ანაწილებს, ჰფანტავს… იწვევს სოფლის დაცალიერებას და მასთან ერთად იმის სულიერ განადგურებას“?

ხშირად თვითონ კაუცკი ისეთ აზრებს გამოსთქვამს, რომ მეტს არც დოგმის უკიდურესი მოწინააღმდეგე მოისურვებდა. აი, მაგალითად, რას ამბობს ერთ ადგილას: „სადაც ფეოდალური სასოფლო მეურნეობა იყო მე-18 საუკუნის დასასრულ, იქ არის დღეს კაპიტალისტური, სახელდობრ—ყრუ, შეკრულ შესახვევში, საიდანაც ის ვერასოდეს ვერ გამოვა საკუთარის ძალებით“. მაშ რომელმა ძალამ უნდა იხსნას მიწათ-მოქმედება? ინდუსტრიამ, ქალაქმაო, გვაიმედებს კაუცკი. „ინდუსტრია ძალაა არა მარტო საკუთარის, არამედ სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა“. ინდუსტრიამ მოსპო ფეოდალიზმი და გამოიყვანა სასოფლო-მეურნეობა ფეოდალურ მდგომარეობიდან. ახლაც ინდუსტრიამ უნდა დაიმორჩილოს სასოფლო-მეურნეობა, მისცეს მას ინდუსტრიალური ხასიათი და ამით მოამზადოს მისი გარდაქმნა, გარდასვლა ახალ სამეურნეო ორგანიზაციაში. ამისთვის საჭიროა განსაზღვრული კლასი. „როგორცა სჩანს, კაპიტალისტური წარმოება აბრკოლებს ამ კლასის გაჩენას სოფელში, მაგრამ, სამაგიეროდ, ხელს უწყობს ქალაქში“… ასე თუ ისე, კაუცკი სულ ერთსა და იმასვე იმეორებს: მართალია დოგმაო. ცოტა შესწორა, შესცვალა, გაასუფთავა ძველი თეორია, მაგრამ იმისი წიგნიც არსებითად იმას ამბობს, რასაც ამბობდა ლიბკნეხტის წიგნის პირველი ნახევარი: სოფლის ხსნა ინდუსტრიაშიაო. ქალაქს ეკუთვნის აქტიური როლი, სოფელს—პასსიური. ქალაქის ინდუსტრიამ უნდა მოაწყოს სოფლის ბედი. მაგრამ როგორ?…

ჩვენ შევეხეთ კაუცკის წიგნის ცალკე მხარეებს. იმის საზოგადო დასახასიათებლად მოვიყვანთ მარქსისტის ჯეროლამო გატტის სიტყვებს: „ჩვენს თხზულებაში ნაკლებად ვაქცევდით ყურადღებას კაუცკის წიგნს, მიუხედავად იმის დიდ ავტორიტეტისა, რადგან ამ წიგნს არსებითად მნიშვნელოვანი არა შეაქვს-რა არც ჩვენს დოქტრინაში, არც ტაქტიკაში. რაც შეეხება დოქტრინას, ეს წიგნი იცავს ძველს მარქსისტულ დოგმას წვრილ საგლეხო საკუთრების სწრაფ მოსპობის შესახებ, რაიც ამტკიცებს, რომ ავტორს ზერელე შეხედულება აქვს… რაც შეეხება ტაქტიკას, წიგნი წინააღმდეგობებითაა სავსე“.

განცხადებანი

მასწავლებელთა საყურადღებოდ
დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის
მიერ ახლად შედგენილი
არითმეტიკული კრებული
პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. I. (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით). ფასი ერთი აბაზი. ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მანეთზე აბაზი დაეთმობა. საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა.“ (10—414—2)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ 23 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც გაიცემა არხის გაყვანის საქმე. ეს არხი გაგრძელება იქნება მოსკოვისა და კალიუჩი ბალკის ხევისა. 55 საჟ. ბეტანის მილი და 2 ჭა იქნება.
წერილობით განცხადებანი ფასების აღნიშვნით უნდა წარდგენილ იქმნას დაბეჭდილ კონვერტებში 23 თებერვლისთვის.
ვისაც ვაჭრობა სურს, შეუძლიან პირობები გაინჯოს გამგეობის სამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 12-დან 2 საათამდე. (1—6.—2)

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა. ჯუნქის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372.